

კავკასიის

ქალაქი

КАВКАЗСКИМ  
ГОРОДЪ

შანი ნომრისა 3 მან.

Цѣна номера 3 руб.

№ 2.

თბილისი  
ТИФЛИСЬ

1 თბილისი  
февраля 1919 г.



# კავკასიის ქალაქი

ორკვირეული გამოცემა თვითმართველობათა კითხვების შესახებ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, სომხის ბაზარი, № 6.  
ქალაქთა კავშირი, ტელეფ. 7-31.

ხელის მოწერის პირობანი: ერთი წლით—60 მან., ექვსი თვით—35 მან., სამი თვით—15 მ., ერთი ნომერი თბილისში—3 მ. სხვა ქალაქებში—3 მ. 50 კ. მისამართის გამოცვლა—50 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ვინც ქალაქთა თვითმართველობებში ალაგს ეჭვბენ მათ გადახდებათ ნახევარი.

## „Кавказскій Городъ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.

Адресъ редакціи и Конторы: Тифлисъ, Армянскій Базаръ, 6.  
Союзъ Городовъ. Телефонъ 7-31.

**Условія подписки:** на 1 годъ—60 руб., на 6 мѣсѣц.—35 руб., на 3 мѣсѣц.—15 руб. За перемѣну адреса—50 коп. Цѣна отдѣльнаго номера: въ Тифлисъ—3 руб., въ другихъ городахъ 3 руб. 50 коп. Плата за объявленія: за строку четвѣта позади текста—1 руб. 50 коп. Для лицъ, иницирующихъ труда въ городскихъ Управленіяхъ, въ половинномъ размѣрѣ.

При сношеніяхъ съ редакціей просить прилагать свой точный адресъ. Приѣмъ редакторомъ ежедневно, кромѣ праздниковъ, отъ 1 до 3 ч. дня.

# კავკასიის ქალაქი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის

ორგანო

ორკვირეული გამოცემა თვითმართვებლათა კითხვების შესახებ.


6 106

## КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ



Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 2.

თბილისი  
Тифлиზь

1 თებერვალი 1919.  
февраля

Отъ редакціи: Въ виду измѣнившихся цѣнъ на бумагу и новаго тарифа печатниковъ, редакція вынуждена под-  
нять подписную цѣну на журналъ до 60 руб. въ годъ.  
35 руб. на полъ года; 15 руб.—на 3 мѣс; цѣна отдѣльн;  
номера—3 руб.

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

### ქ ა რ თ უ ლ ა დ :

- 1) გ. ნანეიშვილი. — დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის.
- 2) ძველი ერობელი. — ერობის გამგეობის მოწყობისათვის. (დასასრული თარგმ.)
- 3) ს. რობაქიძე. — საშკოლო აღმშენებლობა.
- 4) ევ. მადლისონი. — „ადგილობრივი თვითმართველობები და ხელშეკრულება დაქირავებულ შრომის შესახებ. (თარგმანი).
- 9) ქრონიკა { ქალაქთა თვითმართველობებში.  
ერობათა თვითმართველობებში.

### რ უ ს უ ლ ა დ :

- 1) გ. თუმანოვი. — ერობის მართველობის მთავარი ორგანოები. (დასასრული)
- 2) ვ. იანოვიჩი. — საერობო ყრილობის, გამგეობის და კომისიისთვის (დასასრული).
- 3) პსკოვიჩი. — საერობო მიწების შეფასება.
- 4) კალიუჟნი. — კანტროლის ორგანიზაცია საზოგადოებრივი დაწესებულებებში.
- 5) მ. უდანოვი. — საქართველოს რესპუბლიკის გზების გეგმის განვითარება.
- 6) ევ. მადლისონი. — „ადგილობრივი თვითმართველობები და ხელშეკრულება დაქირავებულ შრომის შესახებ.
- 7) ქრონიკა.

## С о д е р ж а н і е :

### На грузинскомъ:

- Г. Нанейшвили. — Отношенія между цент. и самоупр. мѣстными органами.  
Старый земець. — Къ организаціи Земскихъ Управъ. (Окончаніе)  
С. Робакидзе. — Школьное строительство.  
Е. Маддисонъ. — Мѣстн. самоупр. и законопр. о трудовомъ договорѣ: (перев.)

### Хроника.

### На русскомъ.

- Г. Тумановъ. — Высшіе органы земскаго Управленія. (Окончаніе)  
В. Яновичъ. — О земскомъ собраніи, управѣ и комиссіяхъ. (Окончаніе)  
Псковичъ. — Земская земельная оцѣнка.  
А. Балюжнѣй. — Организация Контроля въ общественныхъ учрежденіяхъ.  
М. Жадановъ. — Планъ развитія дорожной сѣти въ Республикѣ Грузія.  
Е. Маддисонъ. — Мѣстныя самоупр. и законопр. о труд. договорѣ.

### Хроника.

## დამოუკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის.

პირველი კითხვა, რომელიც ამ საკითხის გამო იბადება, არის კითხვა, თუ რა ნაირი უნდა იყოს თვით სისტემა მართველობის ორგანიზაციისა, რა დაწესებულებათა საშუალებით უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძანებლობა და აღმასრულებლობა.

საჭირო არის გამოვარკვოთ ის პრინციპები, რომელიც უნდა დაედვას საფუძვლად ჩვენ ადგილობრივ მართველობითი სისტემას.

როდესაც ვიცით თუ რა შედეგებს იწვევს ესა თუ ის უფლებრივი სისტემა ე. ი. ვხელმძღვანელობთ უფლებრივ-პოლიტიკური (ПРАВОВО-ПОЛИТИЧ.) მოსაზრებით, ჩვენ ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა გზით უნდა იწარმოოს საკანონმდებლო მუშაობამ ამ საკითხის შესახებ. ახალ ადგილობრივ დაწესებულებათა შემოღებასთან ერთად, ჩვენ უნდა შევეხოთ მათ მატერიალურ კომპეტენციას ე. ი. დავასახელოთ ისეთი სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროები, რაც განსაკუთრებულათ მინიჭებული აქვს ცენტრალურ დაწესებულებებს. ამის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ისეთი სფეროები სადაც ვითარდება ან შეიძლება განვითარდეს მეტოქეობა ცენტრალურ დაწესებულებებს და ადგილობრივ ორგანოთა შორის; და ბოლოს ისეთი სფეროები, რომელნიც სავსებით უნდა იქნან მინდობილი ადგილობრივ ორგანოებზე.

ამ კომპეტენციის დანაწილება შეტისმეტად რთულს და ძნელ საკითხს წარმოადგენს.

უეჭველია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებულება ორგანოთა შორის ეწყობა ბრძანებლობით, რომელიც გამომდინარეობს მხოლოდ ერთადერთ ცენტრისგან. ეს ხდება საჭირო იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვენ მთელ სახელმწიფო ტერიტორიის სივრცეზე დამყარებულ იქნას ერთიანი მოღვაწეობა და შექმნას საერთო პირობები სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერების განვითარებისთვის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს დღევანდელი ცენტრალური მოწესრიგება სახელმწიფო სამხედრო ძალებისა. ამ დარგში ყველაფერი თავს იყრის მართველ ცენტრში და ადგილობრივ ორგანოებს არ უნდა ქონდეს საშუალება ამ სფეროში შესცვალონ რაიმე დადგენილება. მაგრამ არის ისეთი სფეროები, სადაც ცენტრალური დაწესებულებანი არ კისრულობენ ყველა განწყობილების მოწესრიგებას და ამ შემთხვევაში ფუნქციებს ანდობენ სხვა წვრილ ცენტრებს, რომელნიც საერთო მართველობათა სისტემაში მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი სოციალ-პოლიტიკური ერთეულები.

ამ გვარ სფეროების განაწილებას მეტის მეტი პრობლემატური ხასიათი აქვს, რადგან თვით იმ საზღვრებს, რომელნიც სახელმწიფო ორგანოებთან და ადგილობრივ ორგანოებთან შორის გაგვყავს, არამც თუ მუდმივი ხასიათი აქვთ, არამედ ეს საზღვრები, ყოველ განსაზღვრულ მომენტში არ წარმოადგენენ დემარკაციონულ ხაზს.

ამ საკითხების გამორკვევის შემდეგ უნდა იქნეს ნაჩვენები თუ რამდენათ არიან ადგილობრივი ორგანოები მოწოდებული სახელმწიფო მიზნების განსახორციელებლად.

როგორც ვიცით ეს მოწოდება შეიძლება მოხდეს იმ ფორმით, რომ ადგილობრივი ორგანოები, როგორც განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური ერთეულები იქნებიან მატარებელი უფლებების და მოვალეობის ე. ი. მათ შეუძლიათ გახდენ იურიდიულ პიროვნებათ და მაშენსადამე ყოველ მათ მოქმედებას შეიძლება სდევდეს იურიდიული ეფექტები, რადგანაც ყოველი მათი მოქმედება იქნება განხორციელება სუბიექტიური უფლებებისა.

მაგრამ შესაძლოა, რომ ადგილობრივი ორგანოები იქნენ მატარებელი მხოლოდ მოვალეობისა ესე იგი, იქნენ გამახორციელებელი ობიექტიური უფლებებისა. მაშასადამე, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, დავამყარებთ თუ არა ჩვენ მართველობის სისტემას აქტიურ თუ პასიურ მართველობის პრინციპებზე.

უპირველესად ყოვლისა მართველობა უნდა იქნეს მარტივი და უბრალო და ამისათვის გაუქმებულ უნდა იქნეს საგუბერნიო დაწესებულებანი, რომელთაც შუამავალის ადგილი უჭირავს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის. იმის გარდა, რომ საგუბერნიო დაწესებულებათა შენახვა იწვევს ზედ-მეტ სახელმწიფო ხარჯებს, მათი არსებობა არ შეესაბამება ჩვენ სახელმწიფო ინტერესებს. სახელმწიფოს, რომელიც ფლობლობს ვრცელ ტერიტორიას, ესაჭიროება შუამავალი ორგანოები; რათა ხელ-ქვეით ეჭიროს ცენტრიდან შორს მყოფი თვითმმართველი ერთეულები; ამისთანა შემთხვევაში სახელმწიფო იძულებულია საკანონმდებლო აქტებით შექმნას ისეთი ვრცელი სოციალ-პოლიტიკური ერთეულები, რომელიც ერთი მხრივ არ არიან მოწყვეტილი წვრილ ერთეულებისაგან და მეორე მხრივ, ახლო სდგანან ცენტრთან, რომლის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივთა ორგანოების მოწყობისა. ჩვენ რომ რუსეთის თვითმმართველობის სისტემიდან გამოვეკლო საგუბერნიო დაწესებულებანი, ცენტრი დაკარგავდა ყოველ საშუალებას ემოქმედნა ადგილობრივ მცირე ერთეულების ცხოვრებაზე და თვით ტერიტორია ადმინისტრაციული მართველობის მხრივ დაისაქსებრდა მრავალ დამოუკიდებელ ცენტრებათ და ყოველი მათგანი იმოქმედებდა მხოლოდ თავის ინტერესების განსახორციელებლათ. თუმცა რუსეთის საგუბერნიო დაწესებულებანი ვერ ასრულებდენ თავის დანიშნულებას და მათ ორგანიზაციაში იყო დიდი დეფექტები და შეცდომანი, რომელიც ახასიათებდენ ძველ რუსეთის ადმინისტრაციულ მართვე-

ლობის სისტემას, მაგრამ პრინციპი, რომელზედაც შენდებოდა სახელმწიფო მართველობა, არსებითად იყო სწორი. აზრი ამ შუამავალ ორგანოთა არსებობისა, არის იმაში, რომ ზოგიერთ საქმეებში და შემთხვევებში ხელმძღვანელობა ცენტრიდან ხდება მეტის-მეტე შეუძლებელი, იმის გამო რომ სახელმწიფო ცენტრალური ორგანოები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ადგილობრივ ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებებს და ინტერესებს. რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფა გუბერნიებად და მაზრებად არ იქმნებოდა ნელ-ნელა ისტორიულ პროცესით. რუსეთში როგორც მოწმობს პროფესორი ლაზარევსკი, ეს დაყოფა მოხდა მთელი პოლიტიკური აქტების საშუალებით, რომელიც უფრო ანგარიშს უწევდა არა იმ შეჯგუფებებს, რომელიც იქმნებოდა თვით ცხოვრების მსვლელობით, არამედ ეფარდებოდა ადმინისტრაციულ მართველობის ინტერესებს. და მართლაც ჩვენ რომ მივიღოთ მხედველობაში რომ რუსეთი ადმინისტრაციულ მხრივ იყოფებოდა 756 მაზრად, ჩვენ ადვილათ წარმოვიდგენთ თუ რამდენათ უძღური იქნებოდა და ცენტრალური ორგანოები მოეხდინათ კონტროლი და თვალყური ედევნათ მრავალ დამოუკიდებელ ერთეულებისათვის, რომ არ ყოფილიყო საგუბერნიო დაწესებულებანი, რომლის ფარგლებშიც მოღვაწეობდა და მიმდინარეობდა ცხოვრება რამდენიმე მაზრისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, თუ როგორ მცირეა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია, და როგორი ერთფეროვანია პერიფერიის და ცენტრის მცხოვრებნი, როგორც კულტურულრ ისე პოლიტიკური მისწრაფებებით, ზოგიერთ მცირე შემთხვევის გამოკლებით, არ არის არაფერი საჭიროება რომ შევინარჩუნოთ ისეთი დაწესებულებანი, რომელიც გაიჩნირება მაზრის ერობებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა შორის, რადგან სწორი ადმინისტრაციული განაწილების მოხდენის შემდეგ, ერობათა რიცხვი არ გადააჭარბებს ჩვიდმეტს და ამისთანა შემთხვევაში ცენტრალურ დაწესებულებას ეძლევა საშვალეა იქონიოს, დამოუკიდებელათ სხვა დაწესებულებათაგან, თვალყური ადევნოს ადგილობრივ ცხოვრების განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ცენტრი ღებულობს საშვალეებს აწარმოოს მთელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ერთგვარი პოლიტიკა. ამით მართველობა უახლოვდება მცხოვრებლებს, რაც ამტკიცებს მოქალაქეებში სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ინტერესს და სწორეთ ამ მოსაზრებით მიიღო საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი კანონ-პროექტი საგუბერნიო დაწესებულებების გაუქმების შესახებ.

საგუბერნიო დაწესებულების საქმეების ერობებზე გადაცემის შემდეგ იბადება საკითხი შესძლებენ თუ არა ეკონომიურათ სუსტი ახალგაზდა ერობები ახალ ფუნქციების შესრულებას. მაგალითად ერთ ერობას, არ შეუძლია მოაწესრიგოს დაზღვევა ცეცხლისაგან, დაზღვევა სეტყვისაგან და საქონლის ჭირისაგან ამისთვის საჭირო არის შეერთებული მოღვაწეობა რამდენიმე ერობებისა ერთად.



მოკლე ან ხანგრძლივი მონაწილეობა საჭიროა იმ შემთხვევაშიაც, როცა ორ ან რამდენიმე მაზრაში ერთგვარი პირობები მოითხოვენ ერთ და იმავე ზომის განხორციელებას. ეპიდემიურ ავთომყოფობასთან ბრძოლისათვის, რამოდენიმე მაზრაში რკინის გზის გაყვანისათვის, საჭიროა კავშირი რამოდენიმე ერობათა შორის, რათა შეეძლოთ მათ შეერთებულ საშეაღებით უზრუნველყონ ფინანსიური მხრივ დასახული მიზნის შესრულება; რადგან ჩვენი ერობები ირიუდიული პიროვნების უფლებებით არიან აღჭურვილი, საჭიროება არ მოითხოვს, რომ იქნეს შექმნილი ახალი ნორმები რომლებსაც ექნებათ დასახული ერობათა შორის განყოფილების მოწესრიგება, რადგან მთელი სირთულე მათი ირიუდიული განწყობილებისა იქნება დამყარებული მომქმედ სამოქალაქო და საჯარო უფლებებზედ და სწორეთ იმისათვის, რომ ადგილობრივი ორგანოები უფლების სუბიექტი არიან, მათ შეუძლიათ, როდესაც ამას საჭიროთ დაინახვენ, შეჰკრან კავშირი და მოაწყონ ყრილობანი იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც მათ კომპეტენციაში შედის და აგრეთვე გამოყონ დაწესებულებანი, რომელსაც მიანდობენ ზოგიერთ ფუნქციების შესრულებას.

ცენტრალურ ორგანოებმა უნდა თვალყური ადევნონ, რომ ხელშეკრულებანი სისრულეში მოყვანილ იქნეს, რადგან უეცრივი შეწყვეტა ასეთი შრომის კავშირისა (Разрывъ трудового общенія) შეიძლება გახდეს მეტის მეტი კატასტროფიული რომელიმე მხარისათვის. ხელშეკრულობაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ ორმა, ან რამოდენიმე ერობამ ერთად პირობის მიხედვით ეხება თუ არა ახლად შექმნილი გარემოება მართო ორ მაზრის ინტერესებს თუ რა მ ო დ ე ნ ი მ ე ს ა ს ე რ თ ა დ. თუ რაიმე მიზნის მისაღწევათ საჭიროა ხანგრძლივი კავშირი ორსა ან რამოდენიმე ერობათა შორის ამ უკანასკნელებს შეუძლიათ შექმნან მიზანთ—გასაზღვრული დაწესებულებები, (Цѣлевые учрежденія), ასეთ დეცენტრალიზაციას საფუძვლათ უდევს პრინციპი შრომის განაწილებისა. პიროვნებათა ერთმანეთისაგან დამოკიდებულება, რომელიც გამოწვეულ არის ტერიტორიაზე ცხოვრებით, დღევანდელ სოციალურ—ეკონომიურ სტრუქტურაში თანდათანობით იჭერენ მეორე ადგილს, რადგან მრავალმა უხილავმა ძალებმა სოციალურ—ფსიხიურ რივისამ ისე მჭიდროთ შეაკავშირა ერთმანეთთან სხვა და სხვა ცენტრები ერთისა და იმავე სახელმწიფოსი, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი საშეაღება ვიაზროვნოთ ესა თუ ის სოციალურ—პოლიტიკური ერთეული სხვა ორგანიზაციებს და კავშირების გავლენის გარეშე. იზრდება პროფესიონალური და საზოგადოებრივი კავშირები რომლებიც სცილდებიან სოფლის და ქალაქის საზღვრებს.

ეს კავშირები არ თავსდებიან იმ საზღვრებში რომლებიც ფარგლავენ ადმინისტრაციულ ერთეულებს, როგორც არიან მაზრა და გუბერნია.

თუ ჩვენში ფართო ნიადაგი მოიპოვა ასეთმა კავშირებმა ერობათა შორის შესაძლოა, როგორც ეს ხდება საფრავენთში, ჩვენშიც შეიქმნეს სა-

ზოგადოებრივი სინდიკატები, რომლებიც უფრო გააღრმავებენ და გაათართოვებენ შრომის განაწილებაზე დამყარებულ დეცენტრალიზაციას.

ეს სისტემა შესანიშნავია არა მარტო იმიტომ, რომ აღვიძებს მოქალაქეთა შორის თვითმოღვაწეობის ინტერესს, არამედ მისაღებია უფრო იმისთვის, რომ ერთ მახრას შეუძლია დაიჭიროს კავშირი არა მარტო ერთს ან ორს განსაზღვრულ ერობასთან ერთად, არამედ რამოდენიმესთან ერთად და ამით სავსებით შეავსოს თვისი სამეურნო და ეკონომიური დეფექტები (იხილეთ ნიტის ფინანსიური მეცნიეობა).

## II.

სხვა და სხვა ეპოქაში, განსაკუთრებით პოლიტიკური და სოციალური პერტუბაციების შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი კურსი ექნებოდა აღებული ახალ პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას, სხვა და სხვანაირად უახლოვდებოდნენ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის კავშირის მოწესრიგებას. იმარჯვებდა ლიბერალური პარტია, ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოს შორის კავშირი მტკიცდებოდა ერთ პრინციპზედ. სულ სხვა პრინციპები აწესრიგებდნენ ამავე განწყობილებას როდესაც გამარჯვებული რჩებოდა კონსერვატიული პარტია. (იხილეთ ვიტე. „Непреклонность Государст. Законовъ“). კომისიაში რომელსაც მიზნათ ქონდა ადგილობრივი მმართველობის მოწყობა, (მოწვეული შინაგან საქმეთა სამინისტროში) იბრძოდა ორი მიმართულება. ერთი მიმართულების მიმდევარნი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვენ, რომ ცენტრალურ ორგანოებს ქონდეთ მინიჭებული უფლება, რომ თვალყური ადევნონ ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობას არა მარტო კანონიერების მხრივ, არამედ ქონდეთ უფლებაზე დამყარებული საშუალება ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობის შეფასებაში იხელმძღვანელონ „მიზანშეწონილების კრიტერიუმით“. პირველი მიმართულების წარმომადგენელნი გამოთქვამდნენ შიშს, რომ ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ არ შეჩვევია ფართო თვითმართველობას, ვერ ისარგებლებდა ასეთი უფლებით. ის პრინციპი, რომელზედაც შენდებოდა კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის რუსეთში, და რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პირველი მიმართულების წარმომადგენლები, იყო პრინციპი იერარქიული დაქვემდებარებისა, რადგან ასეთი ფართო პრეროგატივები ცენტრალურ ორგანოების ხელში, როგორც არის თვალყურის დევნება ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობაზე კანონიერების და მიზანშეწონილების მხრივ, აუცილებლად ქმნიდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ ადგილობრივი ორგანოები ხდებოდნენ ცენტრალურ დაწესებულებების აგენტებად. თუ ადგილობრივი ორგანოები თავის მოღვაწეობით სახელმწიფოს წესრიგს ემუქრებიან, ცენტრალურ ორგანოებს ყოველთვის შეუძლიათ კანონიერ საშუალებით ალაგმოს ასეთი ადგილობრივი ორგანოს თვითნებიერება.

განწყობილება ცენტრალურ და ადგილობრივი ორგანოთა შორის, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების დაპირდაპირებაზე დგებოდეს გასაგები იქნებოდა ასეთი მისწრაფება ცენტრალურ ორგანოების პრეროგატივების გაფართოებისაკენ. არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეების შორის. (იხილეთ კორკუნოვი სახელმწიფო უფლება T. II გრადოვსკი. სახელმწიფო უფლება ლაზარევესკი სახელმწიფო უფლება T. II. რადგურსი. ადმინისტრაციული უფლება და ზემოხსენებული ვიტეს წიგნი). თუ ჩვენ შევითვსით ის პრინციპი რომ თვითმართველობა არის სახელმწიფოებრივი ფუნქციების განხორციელება დამოუკიდებელი პირების და დაწესებულების საშვალებით (იხილეთ ნოლდე. очерки госуд. права). აუცილებელი საჭიროა რომ ადგილობრივი ორგანოთა და ცენტრალური ორგანოთა მოღვაწეობა ჩაყენებული იყოს განსაზღვრულ იურიდიულ ფარგლებში, რაც იქნება მიღწეული, თუ ერთ რიგში მყოფ დაწესებულებათა უფლებანი იქნებიან ერთმანეთის მხრივ მკაცრად განსაზღვრული.

რადგანაც ადგილობრივი ორგანოები მოწოდებული არიან სახელმწიფო მიზნების განსახორციელებლად, ისინი აკეთებენ ისეთ სახელმწიფოებრივ საქმეს, როგორც ცენტრალური ორგანოები და ამიტომაც განწყობილება ამ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა შორის, უფლებრივ სახელმწიფოში უნდა იყოს აგებული სრულ ნდობაზედ.

იქნება ძალა-უფლება დემოკრატიული მთავრობის ან დემოკრატიული წესწყობილების მოწინააღმდეგეთა ხელში, თუ მმართველობა არ სწარმოებს კანონის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში ძნელი წარმოსადგენია, რომ ორგანო, რომელიც აღჭურვილია განუსაზღვრავი უფლებით არ ეცდება გააფართოოს თავისი მატერიალური და ფორმარული კომპეტენცია სხვა ორგანოების ხარჯზედ. ძალა-უფლების იდეოლოგია იმაშია, რომ იგი ყოველთვის მიისწრაფის გაფართოებისაკენ, და ამიტომაც თუ ცენტრალური ორგანოთა უფლება არ იქნა მათი კონსტიტუციით განსაზღვრული, უეჭველია, რომ უკანასკნელები შეასუსტებენ ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობას. „მიზანშეწონილების“ მცნება მეტის მეტი რთული და მასთან ერთად არა მუდმივი შინაარსის მატარებელი მცნებაა, რადგან ის დამოკიდებულია მრავალ ცვალებად სახელმწიფოში მოთავსებულ სოციალურ-პოლიტიკური ძალებისაგან, და თუ ჩვენ ცენტრალური ორგანოები აღჭურვეთ ისეთი უფლებით, რომ მათ ექნებათ საშვალება ადგილობრივი ორგანოთა მოღვაწეობას თვალ-ყური ადევნონ არა მარტო კანონიერების მხრივ, არამედ მათ შეფასებაში იხელმძღვანელონ სარგებლობის კრიტერიუმით, ადგილობრივი ორგანოები ვერ შექმნიან მტკიცე ორგანიზაციას. და თავის მოღვაწეობას ვერ აწარმოებენ ისე, როგორც ამას აუცილებლობა მოითხოვს. თუ ჩვენ არ ვეჭვობთ იმაში, რომ ჩვენი ხალხი არის სახელმწიფოებრივი ხალხი, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტით გამსჭვალული, ჩვენ

არ გვაქვს საფუძველი ხელოვნურათ შეექმნათ ისეთი პირობები რომელში-  
დაც ადგილობრივი ორგანოების თავისუფლად ვერ იმოღვაწებენ.

იმისათვის, რომ სახელმწიფოს მექანიზმმა ნორმალურად იმუშაოს, სა-  
ჭიროა მოწოდებულ იქნენ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის არსებული  
ძალები, რაც შესაძლოა მოხერხდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწი-  
ფოს მმართველობის სისტემაში ერთ რიგში მოთავსებული იქნებიან მმარ-  
თველი და თვით მმართველი ცენტრები და ხალხთან ახლო მდგომი ორგა-  
ნოები არ განიცდიან შეზღუდვას იმ ორგანოებისაგან, რომლებიც მათგან  
შორს იმყოფებიან.

ჩვენ თუ მომხრე ვართ სრული თვითმართველობისა და ვცდილობთ,  
რომ ადგილობრივ ორგანოებთა უფლებები არ იქნენ შეზღუდული ცენტ-  
რალური ორგანოების კომპეტენციის გაფართოვებით, ამით სრულიად არ  
ვისვამთ მიზნათ, რომ ადგილობრივ ორგანოების უფლებები იყოს იმდენათ  
ფართო, რომ მათ თავის მოღვაწეობით შეეძლოთ მთელი სახელმწიფოს  
მოღვაწეობის შეფერხება და დარღვევა რაციონალურ პოლიტიკაზე დამყა-  
რებული სახელმწიფოებრივი წესრიგისა. რათა არ მოხდეს ეს ცენტრალურ  
ორგანოებს ადგილობრივ ორგანოთა მიმართ, უნდა ქონდეთ მინიმალური  
უპირატესობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს მთლიანობის და  
მმართველობის ერთფეროვნების შესანარჩუნებლათ. როგორც ცენტრა-  
ლური ორგანოები ისე ადგილობრივი, — სახელმწიფო ორგანოები არიან, და  
ამისათვის მათ შორის უნდა იყოს გაბმული კავშირი, რათა შესაძლო გახ-  
დეს მათთვის ისეთი ზომების მიღება რომლებიც მთელ სახელმწიფო ტე-  
რიტორიაზე უზრუნველ-ყოფენ მორჩილებას, ურომლისოდაც შეუძლებელია  
სახელმწიფოს არსებობა და სახელმწიფოებრივი განმტკიცება. ამ კავ-  
შირის მოწესრიგებაში, მის სტრუქტურაში პოპულობს განსახიერებას  
არსებული ის ფარული და საგრძნობი ძალები, რომელნიც ამოძრა-  
ვებენ მთელ სახელმწიფოს მექანიზმს, მაგრამ ჩვენ ეხლავე უნდა აღვნიშ-  
ნოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა შო-  
რის შესაძლოა ერთგვარი კონფლიქტი და კოლიზია. მიზნის სხვა და სხვა-  
ნაირ დაფასების ნიადაგზე და ამ კონფლიქტების გადაწყვეტაში ცენტრა-  
ლურ ორგანოებს უნდა ქონდეთ უპირატესობა. უპირატესობა იმ საზღვრებ-  
ში, რომელიც აუცილებელია ზემოხსენებულ სახელმწიფოს მმართველობის  
მთლიანობის და ერთფეროვნების შესანარჩუნებლად. ადგილი შესაძლოა,  
რომ ადგილობრივმა ორგანომ მისცეს უპირატესობა ადგილობრივ ინტერე-  
სებს, და სახელმწიფოს მიზნებს ემსახურონ იმდენათ, რამდენათ ისინი შე-  
ესაბამებიან ადგილობრივ მოთხოვნილებებს და პირობებს, თვალ-ყურს ადე-  
ვნებს და ამიტომაც ცენტრალურ ორგანოებს უნდა ქონდეთ საშუალება  
და უფლება თვალყური ადევნონ ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობას.

განსაკუთრებულად ჩვენ ახალგაზდა ადგილობრივ ორგანოებს (ერო-  
ბებს) ესაჭიროება ხელმძღვანელობა ცენტრიდგან და ამიტომაც ინტერე-

სები რაციონალურ მმართველობის მოწესრიგებისა მოითხოვენ, რომ ცენტრალურ ორგანოებს ქონდეთ უფლება ყოველთვის, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ, მიაწოდონ ადგილობრივ სახელმძღვანელოდ ინსტრუქციები, ცირკულიარები და ცნობები, და ქონდეთ თვალყურის დევნება, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა შეასრულონ კანონის ბრძანებლობა და დასახული ფინანსიური ზომებით არ შეაფერხონ სახელმწიფოს მეურნეობის მსვლელობა, რაც ადვილად შეიძლება მოხდეს, თუ ადგილობრივი ორგანოები იქნებიან სრულებით დამოუკიდებელნი გადასახადების შემოღებაში და შეკრეფაში. ეს კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის მტკიცდება არა ბრძანებლობის და მორჩილების ნიადაგზედ, არამედ ამ ორგანოთა შორის შრომის განაწილებაზედ სამუდამოდ უნდა იქნეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უარყოფილი, როგორც ყალბი დებულება თეორეტიული დაპირდაპირება ადგილობრივისა და სახელმწიფოებრივი ინტერესებისა. ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები ერთნაირ სახელმწიფოებრივ საქმეს მკეთებელნი არიან და თუ ჩვენ ცენტრალურ ორგანოებს ვანიჭებთ უფლებას თვალყური ადევნონ ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობას კანონიერების მხრივ, ამით ჩვენ სრულიად არ ვარღვევთ ამ ორგანოთა იმუნიტეტს. დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს ძრიელი ტენდენცია იმისაკენ, რომ ყოველივე ორგანოთა მოღვაწეობა სწარმოებდეს კანონის მიერ დასახულ საზღვრებში, და თუ ადგილობრივი ორგანოს მოღვაწეობა მიმდინარეობს ცენტრალურ ორგანოს თვალყურის დევნების ქვეშ, თავის მხრივ უკანასკნელები თავის მოქმედებაში პასუხს აგებენ სხვა დაწესებულების წინაშე.

ჩვენ რომ შეგვეძლოს მთელი სახელმწიფოს მოძრავი ძალების და ინტერესების ადგილობრივათ განაწილება, სახელმწიფო და მის ორგანოები არ იქნებოდნენ დაინტერესებული ადგილობრივი ორგანოების მოქმედებაში. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში აღიმართებიან კოლექტიური მოთხოვნილებანი, რომლებსაც ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. და ესენი უნდა იქმნენ დაკმაყოფილებული სახელმწიფოს მიერ, ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების ძალების შეერთებით, მაგრამ ეს ძალების შეერთება, ესე იგი კავშირი, კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის უნდა ემყარებოდეს, როგორც ამას სამართლიანათ, აღნიშნავს რედლიხი, არა ბრძანებლობაზე ერთის მხრივ და მორჩილებაზე მეორეს მხრივ, იმ ბიუროკრატიულ ატრიბუტებზედ, რომელსაც უდგას უკან მუქარათ აღმასრულებელი ძალა, არამედ ეს კავშირი უნდა მტკიცდებოდეს ცნობების მიწოდებაზე და ამ ცნობების სარგებლობით მეორეს მხრივ.

მეშვიდე მუხლის ძალით (По положению о Земск. упр.) შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტს, გუბერნიის კომისარს, აქვს უფლება თვალყური ადევნოს კანონიერების მხრივ, ადგილობრივ ორგანოთა მოღვაწეობას; თუ ადგილობრივი ორგანოს მოქმედებით ირღვევა ან სავალდებულო დადგე-

ნიღება ან საჯარო ინტერესი და მასევე არსებული უფლებრივი ნორმა, კომისარს შეუძლია კანონის მიერ განსაზღვრულ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოს წინაშე ადგილობრივი ორგანოს დადგენილება. რადგან ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა ყოველ ადგილობრივ ორგანოს დადგენილების შესახებ, არის სასამართლო, ადგილობრივი ორგანოები უზრუნველ ყოფილი არიან ადმინისტრაციულ თვითნებიერობიდან. იქ სადაც არ არის სასამართლოები უფლებრივი ნორმების განხორციელებასევე მეტია ლაპარაკი, იქ არსებობს მხოლოდ მშრალი რეალური ძალა და ასეთ სფეროში თვითნებიერება ფართო ასპარეზს პოულობს.

რადგან ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ თავის ძალა-უფლების განხორციელება მხოლოდ იმ საგნების და საკითხების მიმართ რომლებიც აღნიშნული არიან ზეთმოყვანილ დებულების მეორე მუხლში, საჭიროება არ მოითხოვს, რომ ადგილობრივი ორგანოები იმ რიგათ იყენენ დამოკიდებული ცენტრალურ ორგანოებისაგან, როგორც ეს მიღებულია საფრანგეთში და პრუსიაში, რომელთა მომქმედი უფლება არ შეიცავს იმ საკითხების რიგს, რომლის გადაწყვეტაში ადგილობრივ ორგანოები სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი არიან.

ამ სახელმწიფოებში ადგილობრივ ორგანოებს მთელ მათ მოღვაწეობის სფეროში ეძლევათ *carte blanche* მხოლოდ იმ პირობით რომ ყოველივე მათ დადგენილებას ესაჭიროება ან ცენტრალურ დაწესებულების ან მისი აგენტის სანქცია. ამის მხრივ ჩვენ გვაქვს შეთვისებული ინგლისის კანონ—მდებლობის მიერ აღიარებული პრინციპი. მეტის მეტათ მცირეა ის რიგი საკითხებისა რომელსაც ესაჭიროება მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროს დამტკიცება (მუხლი 134).

მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, თუ შინაგან საქმეთა მინისტრის მხრივ ერობის დადგენილება არ იქნება დამტკიცებული, ადგილობრივ ორგანოს შეუძლია შინაგან საქმეთა მინისტრის *veto* გაასაჩივროს სათანადო მოსამართლის წინაშე. სწორეთ იმისთვის რომ უკანასკნელი სიტყვა. გადამჭრელი სიტყვა ყოველ მომხდარ კონფლიქტის და ერობის შესახებ ბოლოს და ბოლოს ეკუთვნის ფორმალურად თუ არა, ფაქტიურად მაინც სასამართლოს, ჩვენი ცენტრალური დაწესებულების ორგანოთ კონტროლი უკანასკნელ სტადიაში სასამართლოს კონტროლად იქცევა.

უფლება, ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა, დროებით მთავრობის მიერ მიღებული და საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ კანონის ძალით ეკუთვნის ადმინისტრაციულ სასამართლოებს.

ადმინისტრაციულ მოსამართლეებს სასამართლო ოლქს და სენატის პირველ დეპარტამენტს ამ უკანასკნელის ადგილს ჩვენში დაიჭერს უზენაეის სასამართლო, ესლა კი მის ფუნქციებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ძალით ასრულებს პალატა.

ცენტრალურ ორგანოებს არ შეუძლიათ სრულებით უარპყონ ადგილობრივ ორგანოების დადგენილება, მათ შეუძლიათ მხოლოდ დროებით შეაჩერონ დადგენილების შესრულება, და ეს შეჩერების უფლება არის უადრესი უფლება, რომელსაც ცენტრალური ორგანო ახორციელებს ადგილობრივ ორგანოს მიმართ. მაგრამ ეს უფლება ფაქტიურად განიცდის შეზღუდვას ერთის მხრივ იმიტომ, რომ შეჩერება დადგენილების შესრულებისა, შეიძლება მხოლოდ კანონით აღნიშნულ დროს განმავლობაში (იხილეთ 82 მუხლი ქალაქის დებულებისა).

და მეორე მხრივ, 142 მუხლით, რომლის ძალითაც იმ შემთხვევაშიაც, თუ არსებობენ განსაკუთრებული პირობები, გასაჩივრებული დადგენილება შეიძლება, ერობის გამგეობის მიერ იქნეს მოყვანილი სისრულეში რის შესახებაც უნდა ეცნობოს, როგორც გუბერნიის კომისარს ისე სასამართლო ოლქს. ასეთი უფლება აქვს ქალაქის გამგეობასაც (იხილეთ ქალაქის დებულებანი 82 მუხლი).

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილება, საერობო და სამოქალაქო დაწესებულებებს შეუძლიათ გაასაჩივრონ ადმინისტრაციულ სასამართლოს წინაშე და თუ ამ უკანასკნელმა ერობის და ქალაქის დაწესებულების საჩივარი კანონიერათ სცნო, შეჩერებული დადგენილება შედის ქალაქში, და ამის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი უძღურია შესცვალოს რაიმე ერობის და ქალაქის დადგენილებაში.

ზოგიერთი გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ ყოველივე დავა, რომელიც შეიძლება მოხდეს ადგილობრივ ორგანოთა და სხვა დაწესებულებათა ან პირთა შორის უნდა იქნეს განხილული უზენაეს სასამართლოს მიერ, მაგრამ ასეთი გაფართოება იმ საკითხების რიგისა, რომელიც ექვემდებარებიან უზენაეს სასამართლოს მეტის მეტად გაართულებდა ამ უკანასკნელის მოღვაწეობას, რადგანაც მის კომპეტენციაში შეტანილი იქნებიან ისეთი საკითხები, რომლებიც თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო გადაწყვეტილი დაბალი ტიპის სასამართლოების მიერ.

მხოლოდ დავა, რომელიც მმართველობას ეხება და სწარმოებს ცენტრალურ ორგანოსა და ადგილობრივ ორგანოთა შორის, როდესაც ერთის მხრივ მოქმედებს, ერობა ან ქალაქის დაწესებულება, და მეორეს მხრივ, სამინისტროები ან მათი უახლოვესი აგენტები გუბერნიის კომისარები ან ინსპექტორები, უნდა სწარმოებდეს უზენაეს სასამართლოში, რადგან უზენაეს სასამართლოს პროექტი საფუძვლიანათ სთვლის, რომ ყოველივე დავა მინისტრმა მისგან დამოკიდებულ დაწესებულებათა შორის უნდა გაარჩიოს უზენაეს სასამართლოში. მით უფრო რომ, დავა ეხლა აღნიშნული რიგისა, უნდა შედიოდეს უზენაეს სასამართლოს ქვემდებარეობაში.

კომპეტეციების ან ფუნქციების შერევის ნიადაგზე შესაძლოა მოხდეს კონფლიქტი ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოს შორის. ასეთ შემთხვევაში დავა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის, ხდება.

დავით უფლებაზედ (ЕДИНЪ У ПРАВЪ) და ამიტომაც, როგორც ყველგან (გარდა ინგლისისა) ისე ჩვენშიც ცენტრალური და თვითმართველი ორგანოები უნდა. ქონდეთ კავშირს ადმინისტრაციულ იუსტიციასთან. რადგან ადგილობრივ მმართველობას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, ამიტომაც უნდა იყოს ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს აღადგინოს ამ ორგანოების მიერ დარღვეული უფლება. დასჯა იმ პირისა, რომლის მოქმედების შედეგი იყო უფლებრივი ნორმის უარყოფა, ანაზღაურება იმ ზარალისა, რომელიც მოყვა კანონის შეუსრულებას, არის უმთავრესი სისხლის სამართლის და სამოქალაქო სასამართლოს მიზანი. აღდგენაკი ადმინისტრაციის ან ადგილობრივ ორგანოს მიერ დარღვეული უფლებისა, არის მიზანი ადმინისტრაციული სასამართლოებისა.

იმ დროს, როდესაც პირველ შემთხვევაში, უფლებრივი ნორმის უარყოფა დელიკატს წარმოადგენს, მეორე შემთხვევაში შესაძლოა, რომ კანონის დარღვევას ან შეუსრულებლობას არ სდევდეს არც მატერიალური ზარალი, და არც საჯარო ინტერესის დარღვევა, ისე რომ ვერც სისხლის სამართალი და ვერც სამოქალაქო სასამართლოები თავის პროცესიალურ აპარატს ვერ ამოძრავებენ. შესაძლოა მაგალითად ვინმე იქნეს გამოჩენილი ამომრჩეველთა სიიდან, ექვს გარეშეა, რომ პიროვნებას, რომლის მოქალაქეობრივი ინტერესები შელახულია, უნდა ქონდეს საშვალეობა, რომ აღადგინოს თავის დარღვეული უფლება და თუ არ ადმინისტრაციული სასამართლოები, ვერც სისხლის სამართალი და ვერც სამოქალაქო სასამართლოები დახმარებას ვერ აღმოუჩენენ, რადგან ზემოაღნიშნულ მოქმედებაში, არ არის არც დამნაშავეობითი ელემენტები, და არც ზარალი რომლის რეალური შეფასება შესაძლო იქმნეს. იმ დროს როდესაც სისხლის სამართლის და სამოქალაქო სასამართლოების მიზანი მატერიალური ნორმის განხორციელებაა, ადმინისტრაციული სასამართლოები ისახევენ მიზნათ ადგილობრივი ორგანოს დადგენილებას ან დროებით შეჩერებას ან სრულებით უარყოფას, ასე რომ ადმინისტრაციული სასამართლოები, ისეთი ორგანოებია, რომლებიც არიან მოწოდებული მართველობაში კანონიერების დასაცავათ, და თუ ჩვენი კანონმდებლობა ადგილობრივ ორგანოთა მოქმედებას უქვემდებარებს ადმინისტრაციული იუსტიციას ადგილობრივ ორგანოთა იმუნიტეტი სრულებითაც არ ირღვევა. თანახმათ კანონისა, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ სასამართლოებს კანონების და მთავრობის განკარგულების კრებული (1917 წელიწადუ № 127). საჩივარი ადგილობრივი დაწესებულების მოღვაწეობაზე იმ შემთხვევაში, თუ მით ირღვევა ან კანონი, ან სავალდებულო დადგენილება შეტანილი უნდა იქმნეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. იმ შემთხვევაში კი, თუ ადგილობრივი ორგანოს მოქმედებით ირღვევა ვინმეს კერძო ინტერესი ან უფლება, მათ საერთო დებულობის მიხედვით შეუძლიათ ეძიონ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე (იხილეთ 173 მუხლი ერობის დებულებისა). შემდეგში, როდეს-



საც ადმინისტრაციას შეეხებით და გვექმნება მაზედ ბაასი, უფრო ვრცლად შეეხებით ადმინისტრატიულ სასამართლოებს, ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრატიული სასამართლოები არ იხილავენ საქმეებს არსებობის მხრივ, მათ აქვთ მსჯელობა მხოლოდ იმაზე არის თუ არა დარღვეული კანონი, ან სავალდებულო დადგენილება ადგილობრივი ორგანოს მხრივ.

ადმინისტრატიულ სასამართლოს მიერ საქმის განხილვას არა აქვს პრეუდიციალური ხასიათი (ე. ი. წინანდებული). თუ ადგილობრივ ორგანოს ან თანამდებობის პირმა შენიშნა, რომ მათ მოქმედებაში არის რაიმე ბოროტ მოქმედება დამნაშავენი პასუხს აგებენ პირდაპირ სისხლის სამართლის წინაშე.

### გ. ნანეიშვილი.

(გაგრძელება იქნება.)

## ერობის გამგეობის მოწეობისთვის.

(დასასრული)

ერობათა სესიების განსაზღვრული რიცხვი და მათი სწრაფი დასრულება, წევრების შემადგენლობის ბრალია: უმრავლესობა სოფლის მეურნეა. ესენი დიდ უფლებას ანიჭებენ ერობის გამგეობას. არ შეიძლება ერთი წლით ადრე წარმოიდგინო და განსაზღვრო ყოველივე; ამის გამო საერობო ყრილობანი აღნიშნავენ ხოლმე მხოლოდ საერთო მუშაობის მიმართულებას და გამგეობებს კი ანიჭებენ ფართო უფლებებს. ამიტომაც რომ გამგეობა საჭიროობს მოხსენების დაწვრილებითი მომზადებას და თუ ეს მოხსენებანი ყრილობას ამა თუ იმ ზომის მიღებაში ვერ დაარწმუნებს, ზოგჯერ მიუღიწადი იკარგება ხოლმე. ცუდი მომზადება ღუპავს საქმის მსვლელობას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გამგეობის შემადგენლობა, რომელიც უნდა ესაბამებოდეს თავის დანიშნულებას, რომ ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხები თავის დროზე შეამჩნიოს და აღმოაჩინოს მის განსახორციელებელი საშუალებანი.

ისეთი საქმის დაყენებაა კარგი, როცა გამგეობა წინ მიუძღვის ერობის ყრილობას და არა მხოლოდ მისი ნების აღმსრულებელი იქნება. გამგეობა უნდა იყოს დამოუკიდებელი და გონიერი აღმსრულებელი აგრეთვე მამოძრავებელი, და ხელმძღვანელი საერობო ყრილობისა.

ამიტომ გამგეობა არის პასუხისმგებელი საერობო მუშაობის მსვლელობის კარგათ თუ ცუდათ დაყენებაში.

რომ ღირსეულათ იქნეს შესრულებული ეს პასუხისმგებლობა, გამგეობას უნდა დაწვრილებით ქონდეს წარმოდგენილი ის საქმე რასაც ის აწარმოებს. ამისთანა ცოდნის შექმნა შეიძლება კაცმა მიიღოს, როცა საქმეს აწარმოებს

ყოველ დღიური მუშაობით და გატაცებით და არ უშვებს არც ერთ შემთხვევას, რომ ყურადღება არ მიაქციოს მას, რაც გარშემო ხდება. გამგეობისა და მოსამსახურეთა შუა არ უნდა იყვეს, არაფერი კედელი აღმართული. ფორმალისში და კანცელიარული წარმოება მომშხამელია გამგეობისთვის. კანცელიარულ საქმის წარმოებასთან უნდა იყოს ბრძოლა, როგორც დაუძინებელ მტერთან.

კანცელიარია საჭიროა—კანცელიარული წარმოება ზიანის მომტანია.

საჭიროა, რომ გამგეობის სამეურნეო თვითეულ დარგს ყავდეს სათავეში გამგეობის წევრი, რომელიც განაგებდეს განყოფილებას დამოუკიდებლათ, ამისთვის საჭიროა გამგეობის კანცელიარიაში არ იყოს განსაკუთრებული, შემოფარგლული განყოფილება, საკუთარი საქმის წარმოებით და მით უმეტეს საკუთარი უფროსებით სათავეში. ეს უფროსები თავის თავად საქმეს არ გააკეთებენ.

თუ ამ უმთავრეს საფუძვლებს მივიღებთ მხედველობაში, ძნელი არ არის აღვნიშნოთ განყოფილებათა რიცხვი გამგეობაში.

უმთავრესი და აუცილებელი მუშაკნი გამგეობისა არიან: მდივანი და ბუხჰალტერი.

მდივნის ხელშია ყოველი მიწერ-მოწერა. ბუხჰალტრის ხელშია ანგარიში, მიუხედავად სამეურნეო ნაწილის სხვა და სხვა განყოფილებისა. ეს ორი (ბუხჰალტერი და მდივანი) ემსახურება მთელ მეურნეობას მთლიანად და ამნაირად არც ერთი მათგანი არ არის რომელიმე განყოფილების უფროსი. ბუხჰალტერის და მდივნის წინაშე იშლება მთელი სურათი საქმის მიმდინარეობისა და ამაშია მათი ძალაც.

ხელმძღვანელობთ რა ამ ძირითადი დებულებით, ძნელი არაა აღვნიშნოთ გამგეობასთან მყოფი დაწესებულების შემადგენლობა.

მდივანი და ბუხჰალტერი—ეს ორი პირი აუცილებელი თანამშრომელია გამგეობისათვის.

მდივანს ხელთ აქვს ყოველივე ქალაქდები მიწერ-მოწერისა და ბუხჰალტერს ყველანაირი ანგარიში, სხვა და სხვა სამეურნეო დარგის მიუხედავად. ორივე ესენი ემსახურებიან მთელ სამეურნეო საქმეს, ამავე დროს ისინი არ არიან რომელიმე განსაკუთრებული განყოფილების უფროსნი. მათ წინაშე არი გადაშლილი მთელი საქმის მიმდინარეობა და სწორეთ ეს არი მათი შრომის დამფასებელი. მდივნის და ბუხჰალტერის საქმის წარმოების დაყოფა არაა სასურველი, მაგრამ რადგან ერთ აღამიანს არ შეუძლია აწარმოოს, ეს საქმე, როცა საქმე ფართო ხასიათს იღებს, ძალაუნებურათ უნდა იქნეს დაყოფილი. საქმე დაწყებულ უნდა იქნეს არა უმეტეს, ერთი მდივნისა და ერთი ბუხჰალტერიდან.

რასაკვირველია მათ უნდა ყავდეთ თანაშემწეები.

მდივანს უნდა ყავდეს არა ნაკლებ სამი მოსამსახურისა: გადაწერ-რეგისტრატორი, საბუკდავ მანქანაზე მომუშავე და გამგზავნ-გამომგზავნი.

ქალაქების რეგისტრაცია, შემოსავალ და გასავალ საქმეების ჟურნალი — აქსიომაა საქმის წარმოებისთვის. უამისოთ საქმის წარმოება შეუძლებელია. რეგისტრაცია აუცილებელი საქმეა, მაგრამ შეცდომა იქნება თუ კი საქმის დაწყებისთანავე დაყენებულ იქნა, სპეციალურათ, რეგისტრატორი; რასაკვირველია მან არ უნდა აწარმოოს მარტო ჟურნალი, არამედ ის უნდა იყოს მდივნის განკარგულების ქვეშ, რათა მან გაუწიოს მდივანს სხვა საქმეებში დახმარება. აგრეთვე, საბეჭდავ მანქანაზე მომუშავე არ უნდა იყოს მარტო მანქანასთან; არამედ უნდა აასრულოს სხვა საქმეებიც, რომელსაც მიუთითებს თვით მდივანი.

მდივნის საქმის წარმოების აღნიშვნა არ არი საჭირო, რადგან ამას თვით საქმე დაანახვებს, მაგრამ სასურველია მიუთითოთ ორ მიმდინარეობაზე, რომელიც არი დამუშავებული გამოცდილებით: საჭიროა ყველა ქალაქები ჩაკერილი იქნეს საქმეში და მისი შავი კი უნდა დარჩენილ იქნეს თვით საქმის მწარმოებელთან. საქმეები უნდა იქნეს დაყოფილი თავიანთ შინაარსით, მაგალითად: საექიმო საქმის ქალაქები ცალკე და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით ყოველივე ეს დამოკიდებულია გამოცდილ მდივანზე, მან ერთგვარი სისტემა უნდა აწარმოოს თავის ქალაქებში.

პირველ დაწყებულ საქმეში, ოთხი კაცი სრულებით საქმარისია რომ სამდივნო საქმემ იწარმოოს.

ბუხჰალტერს, პირველ ხანებში, უნდა ყავდეს არა უმეტეს 2 კაცისა, და თუ კი შესაძლებელია ერთი კაცი, უკეთესიც იქნება.

თვით ჩემი პირადი გამოცდილებით შემიძლია ვსთქვა ის, რომ საუკეთესო სისტემა არი ის სისტემა, რომელსაც იცნობს თვით ბუხჰალტერი.

თვით ბუხჰალტერის პიროვნების და მის ცოდნას გვიხდება მივაქციოთ ყურადღება იმიტომ, რომ ძნელათ მოიპოვება ამ საქმის მცოდნე კაცი. სასურველი იქნებოდა, რომ იშოვოს ადამიანმა თეორეტიულათ მომზადებული და პრაქტიკის მცოდნე ბუხჰალტერი, რასაკვირველია გამოცდილება უნდა ქონდეს ერობის ანგარიშის წარმოებაში, განსაკუთრებით ერობაში იმიტომ, რომ ერობის ანგარიშის წარმოებას აქვს ისეთი განსაკუთრებულება, რომ სხვა დაწესებულებაში მიღებული გამოცდილება ერობაში არ გამოდგება.

არ შემიძლია არ დაუმატო, რომ თვით ჩემი დიდი-ხნის ერობაში მუშაობის დროს, გავცანი უბრალო და ორგვარ სახის ანგარიშის წარმოებას და აგრეთვე სამ გვარ ე. ი. ეზერსკის სისტემის ანგარიშს; სწორეთ ეს უკანასკნელი სისტემა არა მეტად შესაფარგლებელია ერობის მეურნეობაში. როგორი სისტემაც არ უნდა იყვეს მიღებული, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველნაირ ფულის და ანგარიშის ტრიალის დროს აუცილებლათ საჭიროა ორდერი ე. ი. გამგეობის განსაკუთრებული დებულება, რომელიც უნდა იყვეს ერთ-ერთ წევრის მიერ ხელმოწერილი, როგორც გასავალის ისე შემოსავალის. რაც შეეხება ბუხჰალტერს, მან მხო-

ლოთ ორდერის საშვალებით უნდა ჩაწეროს წიგნში. ეს საჭიროა ჯერ იმიტომ, რომ არც ერთი კაპეიკი არ უნდა გავიდეს ერობის თანხიდან. თუ კი ეს გამგეობას არ ეცოდინება, და მეორე იმიტომ, რომ ეს არი ერთგვარი გასამართლებელი საბუთი ბუხჩალტერიის საქმის წარმოებაში. ამ საბუთების ხელში ქონების დროს ადვილი გასასწორებელია შეპარული შეცდომები და თუ მთელი წიგნი ცუდათ არი ნაწარმოები, მისი ხელახლა შედგენა შესაძლებელია, რაც ერობის ცხოვრებაში ხშირათ ხდება ხოლმე.

ხშირათ ბუხჩალტერიას, კასირსაც მისაკუთრებენ ხოლმე. კასირის ყოლა კარგია, მაგრამ შეიძლება, პირველ ხანათ მაინც უმისოთაც იწარმოოს საქმემ: საკმარისია იყვეს გასავლის მწარმოებელი, რასაც ადვილათ შეასრულებს ერთი ბუხჩალტრის თანაშემწეთაგანი. ეს უფრო იაფი, უბრალო და შესაბამია მართველობის მთლიანობისთვის.

კასის შესახებ უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ხშირათ კასიდან აძლევენ ხოლმე ფულს კერძო ხელმოწერით. ასეთი წარმოება საქმის დამლუბველია. ფულთან საქმის ჰერა ხუმრობა არ არის და ძალიან ფთხილად უნდა წარმოებდეს. ფორმალში ამ შემთხვევაში საჭიროა.

საგადასახადო მაგიდა შეადგენს მესამე აუცილებელ საჭიროებას გამგეობისთვის. მისი მიზანია აწარმოოს გადასახადთა წიგნები, მომზადება და დაგზავნა წიგნების. საგადასახადო წიგნები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი მიწის შემფასებელ წარმოებასთან, მაგრამ მათი ერთმანეთში არევა არ უნდა მოხდეს. საგადასახადო მაგიდაზე ორ კაცზე ნაჭლები არ უნდა იყვეს, გამგე და მისი თანაშემწე. ეს ორი პირი საკმარისია ჩვეულებრივ დროსთვის, როცა წიგნები უკვე სწარმოებენ და მუშაობა თავის ფარგლებში ჩაყენებულია. პირველ ხანათ კი, როცა მუშაობა იწყება, როცა იკრიბება სია მიწის გადასახადისა, და საზოგადოთ როცა მზადდება გადასახადის წიგნები, მაშინ ამ ორ პირს, რასაკვირველია, თანამშრომლები მეტი ეყოლება. ეს თანამშრომლები იქნებიან დროებითი და ეს ორი მიზეზით: ჯერ ერთი რომ მუდმივი სამუშაო მათ მომავალში არ ექნებათ და მეორეც მომზადებულ პირებს საჭირო საქმეზე ეგრე ადვილათ ვერ იზოვის კაცი, დროებით კი, რომ თავისი ადგილი არ დაკარგოს, განსაკუთრებით კანკულების დროს, სტუდენტები, შეგიძლები, მასწავლებლები, ბევრი მოიპოვება.

ფასდამდები წარმოება არ უნდა იყვეს ფართოდ დაყენებული საზოგადო ერობასთან ორი მოსახრებით: პირველი, საზოგადო მოსახრება ისაა, რომ ამას უნდა განაგებდეს საგუბერნიო ან საოლქო ერობის ორგანო, რომელმაც უნდა გაანაწილოს მაზრათა შორის საერთო-ერობის ოლქის და გუბერნიის საჭიროებანი; ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამ ორგანოებს ჰქონდეთ საშვალება თანაბრათ გაანაწილონ შემუშავებული ფასდამდები ნორმები. მეორე, — დროებით — საქმის სწორი დაყენებისთვის, რაც დიდ ხარჯებს ითხოვს და დიდ დროს შეფასების მუშაობისთვის, რისთვისაც საჭიროა სპეციალისტები, გამოცდილები და ცოდნით აღჭურვილები.

შეფასების მუშაობის ფართოთ დაყენებამდის, რომელიც საერობო ცენტრალ ორგანოსთან, უნდა მოხდეს,—საჭიროა სამაზრო ერობასთან ის შეკვეცილ იქნას, ე. ი. მიყვანილ იქნას მინიმუმამდე, მთავარი მუშაობა მდგომარეობს ადგილობრივ გამოკვლევაში და მასალების მოკრებაში ადგილობრივით. ამავ დროს საჭიროა მოხსენება კრებაზე გააკეთოს იმავე პირმა, რომელმაც ეს ცნობები შეკრიბა.

ამისთვის კანცელიარიის ყოლა კომისიასთან არამც თუ საჭიროა, არამედ უსარგებლოც. მცირე აღწერას მდივანიც მოახერხებს, მოხსენებებისთვის უნდა მოწვეულ იქნას ერთი ან, სულ ბევრი, ორი მიწის მზომელი. საჭირო შეიქნება მრავალი სპეციალობა, მაგრამ ყოველივე ამისთვის ხომ მუდმივ მომუშავეს არ მოვიწვევთ! ამნაირათ შემფასებელი წარმოება უნდა მოეწყოს უბრალოთ.

დაზღვევის წარმოება, როგორც შემფასებელი წარმოება, სამაზრო ერობის ძალას აღემატება და ამიტომ ცენტრალურ საერობო ორგანოს უნდა მიეკუთვნოს. სამაზრო ერობაში კი უნდა იყვეს მხოლოთ დამზღვევი მაგიდა, თუ ეს საჭიროა. თუ ის ცენტრზე იქნება გადაცემული. ადგილობრივით კი საქმე იქნება გადაცემული აგენტზე, მაშინ კარგი იქნება რომ აგენტს ჰქონდეს ერთი კუთხე გამგეობაში.

ფოსტა საზოგადოთ საერობო ადგილებთან რუსეთში ვერ იყო მოწყობილი. არც საქართველოშია საქმე ამ მხრივ კარგათ. უფოსტოთ კი ერობას არ შეუძლია იყოს, საჭიროა ორიოდ ფოსტალიონი და ერთი მსახური გამგეობასთან, რომ დამოკიდულება იყვეს მაზრის მთავარ ნაწილთა შორის. ფოსტის მოწყობა საჭიროა, მაგრამ არ უნდა ვიყოლიოთ ამისთვის საკუთარი ცხენები.

რაც უნდა ძვირი იყოს კერძო პირთა ცხენების ჭირაობა, მაინც საკუთარი ცხენების ყოლა, გაცილებით ძვირი დაჯდება. თვალყურის დევნება საკუთარ თივაზე, ან ბენზინზე ავტომობილისთვის ყოვლად შეუძლებელია. ამისთანები ყოველთვის იკარგება და სადღაც ქრება. არაფერს არ უნდება იმდენი ხარჯი, როგორც დიდ გარაჟს მისი ზედამხედველებით, უფროსებით და ხელოსნებით.

არ არის აგრეთვე საჭირო ცალკე ტეხნიკური კომისიის დაარსება; ტეხნიკთა დახმარება საჭირო ხდება სამ შემთხვევაში— როცა ახალ შენობების პროექტს ადგენენ, მათი აშენების დროს, და როცა შეკეთება საჭირო. პროექტის დროს უფრო ხელსაყრელია მიემართოთ სპეციალისტს. ყოველთვის შეიძლება მოვძებნოთ სპეციალისტი ხიდებისა, გზის გაყვანისა, საავთმყოფო შენობების აშენებისა და სხვა და სხვა, და ისეთი ტეხნიკი, რომელიც ყველა დარგში ვარგოდეს არ მოიძებნება.

საზოგადოთ, საჭირო არ არის ფართო განყოფილებების შექმნა, რომელთაც სჭირდება მთელი შტატი უფროსებისა, საქმის მწარმოებელთა და სხვათა და სხვათა.

ამით თავდება მსახურთა შტატი, რომელიც საჭიროა პირველ ხანათ. რჩება სამეურნეო დარგიდან ისეთი ნაწილები, რომელთათვისაც საჭიროა არა კანცელიარული მოწყობა, არამედ საზოგადოებრივი.

საქმე შეეხება სახალხო განათლებას, სახალხო ჯანმრთელობას, ბეითლობას, გზას, სასურსათო და აგრონომიულ დახმარებას, კოოპერატივს და შინაურ წარმოებას აგრეთვე ერობის სახალხო კრედიტს.

ამ დარგის უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით მრავალ რიცხოვან შემადგენლობას და ერობის საუკეთესო მუშაკთ. ეს დარგები თხოულობენ კარგათ და სასტიკათ დამუშავებულ მუშაობის გეგმას. აჩქარებული მუშაობა უგეგმოთ უფრო მაგნიტელია ვიდრე სასარგებლო.

ნაჩქარევით აშენებული სკოლა, საავადმყოფო, გზები და სხვა შეიძლება თავის ადგილზე არ აღმოჩნდნენ და ამნაირათ შეაფერხონ მომავალი საქმის განვითარება. საერობო საქმე კი მკვიდრი საქმეა, რომელსაც თანდათანობით განვითარების ხასიათი აქვს, ამიტომ საქმე მკვიდრათ და სამუდამოთ უნდა კეთდებოდეს.

ამისთანა გეგმების შედგენა ევალება კოლეგიას, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, როგორც წარმომადგენლები ერობისა, აგრეთვე მომუშავე მესამე ელემენტი. მათი ორგანიზაცია ორნაირია, ან ორივე კატეგორიის წარმომადგენლები მუშაობენ ერთად, ან ცალცალკე, ჯერ მოსამსახურეთა კრებულში, შემდეგ ხმოსანთა კომისიაში, სადაც მონაწილეობენ აგრეთვე მომხსენებელნი მოსამსახურეთა.

მეორე გზით საქმის მოწყობას უფრო მეტი კარგი მხარეები აქვს. ის იძლევა უფრო ნათელ წარმოდგენას მუშაობაზე და პასუხისმგებლობის მხრივაც უფრო ხელსაყრელია.

ჯერ მოსამსახურენი, ტეხნიკები და სპეციალისტები ბჭობენ და იმუშავენ გეგმას, ამის შემდეგ თვით ერობის წარმომადგენლები, თვით პატრონები აღნიშნავენ მას, რაც შესაძლებელია. ამნაირათ არც ერთი მხარის აზრი არ ქარწყლდება, არ იხრდილება და თვითეული მათგანი ინახავს თავის სახეს. ამიტომ მეორე გზა უფრო მისაღებია.

ესა თუ ის გზა იქნება მიღებული—სულ ერთია, ხოლო საქმის წარმოება ამ კომისიებში საჭიროა მიენდოს სპეციალისტებს, მაგალითად: სახალხო განათლებას ერთ-ერთ ინსპექტორს ან მასწავლებელს, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და სხვა. საჭირო არაა ყოველ შემთხვევაში საკუთარი საქმის წარმოების და კანცელიარიის შექმნა. შესაძლებელია ზოგიერთ საკითხში მოწვეულ იქნას განსაკუთრებული პირი.

ასე მაგალითად, როცა საჭირო გახდება საერობო ტელეფონის გაყვანა, ავტომობილების მიმოსვლა და სხვა და სხვ. უნდა მოწვეულ იქნას ტეხნიკი ტელეფონებისათვის ან ავტომობილისთვის და მათ უნდა მიენდოს საქმის წარმოება.

მინდოდა კიდევ მიმეთითებინა სასურსათო მდგომარეობის განსაკუთ

რებულ მდგომარეობაზე ახლანდელ დროში. ცხოვრებამ იგი პირველ რიგში წამოაყენა, მომარაგების საჭიროება ფრიად დიდია. არ არის არც ტანისამოსი, არც ტყავი, არც რკინა, არც თესლეულება და სხვა და სხვა.

ახალ ერობებს რომ ყურადღება მიექციათ ამ საკითხისათვის და სათანადო ზომები მიეღოთ, რათა პირველ საჭიროების საგნები მიეწოდებინათ სოფლებისათვის, ამით ისინი დაიმსახურებდნენ დიდ მადლობას და მიიქცევდნენ დიდ ყურადღებას სოფლის მხრივ.

ძველი ერობელი.

## საშოკოლო აღმშენებლობა.

ჩვენი შოკოლის გაეროვნება იმდენათ ახალია, რომ არც კი შეიძლება უსაყვედუროს მას კაცმა უვარგისობა და მოუწყობლობა. გაეროვნებამდე ჩვენ შოკოლას მზრუნველრბას უწევდა ის სამინისტრო, რომელიც სრულიაბთ არ იყო დაინტერესებული შოკოლის კეთილდღეობით. პირიქით ის ცდილობდა მოსწავლეებში გამტკიცებულიყო არსებული ცრუმორწმუნეობანი შესახებ ბუნებისა და თვითმპყრობელობისა. რუსეთში, მთავრობის საწინააღმდეგოთ, შოკოლების ინტერესების დამცველათ გამოდიოდნენ ადგილობრივი თვითმართველობანი—ერობა და ქალაქი. ჩვენი ქვეყანა ამნაირ მფარველებსაც მოკლებული იყო.

ერობა ჩვენში არ იყო და ქალაქთა თვითმართველობანიც შეზღუდული იყვენ სხვადასხვა პროგრამებით და დადგენილებებით. ასეთ პირობებში რა გასაკვირველია, რომ საშოკოლო აღმშენებლობაზე ჩვენში არავის არ უზრუნია. ქალაქი ვერ უწევდა სოფელს წინამძღოლობას, რადგან აქაც საშოკოლო აღმშენებლობა აუტანელ მდგომარეობაში იყო. შოკოლის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი—მისი შენობა ყოველთვის შემთხვევითი ელემენტს შეადგენდა საშოკოლო საქმეში. ამ უკანასკნელ წლებში რუსეთში შოკოლის ამშენებლობას დიდი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა თვითმართველობებმა. იქ მთელი მზრუნველობა შოკოლაზე მიღებული აქვს თავის თავზე ქალაქთა და საერობო თვითმართველობებს. მიუხედავად ამისა, არც იქ გაკეთებულა ბევრი რამ ამ ნიადაგზე. თუ ეს ასეა რუსეთში, რა უნდა იყოს ჩვენში, სადაც არც ერობა არსებობდა და არც ქალაქებს ეძლეოდათ ნება შოკოლაზე მზრუნველობისა. დღეს ჩვენი თვითმართველობები, როგორც საქალაქო, ისე საერობო სულ სხვა პირობებში არიან და შეიძლება ეძლევათ მთელი თავის ყურადღება მიაქციონ საერთოთ სახალხო განათლების საქმეს და კერძოთ საშოკოლო აღმშენებლობას, რასაც სახალხო განათლების საქმეში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენმა თვითმართველობებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა მიიღონ ის პრინციპი, რომ საშოკოლო აღმშენებლობა პირველ ადგილზე უნდა იდ-

გეს მათ მოღვაწეობაში. დღემდის მიღებული იყო მთავრობისაგან, რომ, თუ სადმე შკოლის გახსნას გადაწყვეტდნენ, ბინა ასეთი შკოლისათვის უნდა მიეცა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ეს უკანასკნელნიც, რასაკვირველია, თავს დიდათ არ იწუხებდნენ და შკოლისათვის ამზადებდნენ სრულიათ უვარგის ოთახს, რომელსაც არც ფანჯრები ქონდა, არც კერი და არც იატაკი. უფრო ხშირათ ასეთ ბინას ამზადებდნენ ეკლესიის ეზოში მდგომ საყარაულოში ან სოფლის კანცელიარიის გვერდით. ახალი შენობის აგების დროს ხარჯს დიდს გასწევდნენ, მაგრამ ამ ბინის შკოლისათვის შესაფერაო მოწყობაზე ნაკლებათ ფიქრობდნენ. ამის მიზეზი იყო უმთავრესათ ის, რომ არ იცოდნენ როგორი ბინა არის საჭირო შკოლისათვის და არც შესაფერი ტექნიკური ძალები მოიპოვებოდნენ ადგილობრივ. ამგვარათ, ჩვენ შეგვიძლია გაბედულათ, ვსთქვათ, რომ დღემდის შკოლას ჩვენში სრულიათ არ აქვს შესაფერი შენობა მაშინ, როდესაც დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყნებში ამ საკითხს უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული. იქ ხალხის განვითარებას თან მიყვება საშკოლო აღმშენებლობის განვითარებაც: გერმანიაში, მაგალითათ, გარდა პრუსიისა, საშკოლო აღმშენებლობა დაკისრებული აქვს ადგილობრივ თვითმართველობებს. მთელ ხარჯს საშკოლო აღმშენებლობისათვის კისრულობენ ეს თვითმართველობები. საშკოლო შენობას აგებენ ის მცხოვრებნი, რომელნიც მის გარშემო ცხოვრობენ. ეს გარემოება საშვალეობას აძლევს შკოლის მნახველს შეადგინოს აზრი მაზედ, თუ რამდენათ კულტურულათ განვითარებულია შკოლის გარშემო მცხოვრები მოქალაქეები.

ევროპაში შკოლა ადრე წარმოიშვა, მაგრამ საშკოლო აღმშენებლობას იმდენ ყურადღებას არ აქცევდა არც მთავრობა და არც მცხოვრებლები. გერმანიაში შკოლა მე-XIII საუკუნის შვილია, მაგრამ შკოლის შენობას მხოლოთ წასული საუკუნის მეორმოცე წლებში მიექცა ყურადღება. სწორეთ ამ დროიდან იწყება საშკოლო აღმშენებლობაზე ზრუნვა როგორც სამეცნიერო წრეებისაგან, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებათაგან. რაკი ამ საკითხს მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება, მთავრობები და თვითმართველობებიც იძულებულთ გახდნენ დაინტერესებულიყვენ საშკოლო აღმშენებლობის საკითხით და მართლაც ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები და თვითმართველობები შეუდგენ ამ საქმის მოწესრიგებას კანონმდებლობის საშვალეებით. განსაკუთრებული ყურადღებით მოექცა ამ საკითხს გერმანიის მთავრობა და საზოგადოება. იქ შეუდგენ საშკოლო აღმშენებლობის საკითხების თეორეტიულათ დამუშავებას და იქიდან ეს ნამუშევარი ეფინებოდა ევროპას. დასავლეთ ევროპის საშკოლო შენობა ვითარდებოდა და ლებულობდა ამა თუ იმ სახეს, იმის და მიხედვით, თუ როგორი იყო მცხოვრებთა მატერიალური კეთილდღეობა.

პედაგოგიურს და მხატვრულ მხარეებს თითქის სრულიათ არ აქცევდნენ ყურადღებას; მთავარი ყურადღება ქონდა მიქცეული მხოლოთ გიგიენას. მთავრობები მეცნიერთა გამოკვლევების თანახმათ, სცემდნენ კანონებს



საშკოლო აღმშენებლობის შესახებ. პრუსიის მთავრობამ 1868 წელში გამოცა კანონი, რომელიც სავალდებულოთ ხდიდა ერთგვარ ნორმას საშკოლო შენობისათვის. იქვე გამოვიდა კანონი 1870 წ. შესახებ შკოლების და გიმნაზიების შენობების სიდიდისა. თითქმის ამავე დროს ევროპის ყველა სახელმწიფოები, სცემენ კანონებს საშკოლო აღმშენებლობისათვის.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ საშკოლო აღმშენებლობის საქმეს დასავლეთ ევროპაში ყურადღებით ექცევიან წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან.

მთავარი ყურადღება მეცნიერებისაგან მიქცეული ქონდა განსაკუთრებით საშკოლო გრგინას. პროფ. კონი თავის ნაშრომებში ამ საგნის შესახებ შკოლის შენობის განათებას აქცევს ყურადღებას. მისი აზრით, შკოლის შენობის ცუდი განათება ღუპავს აუარებელ რიცხვს ახალთაობისას.

მან გამოიკვლია და შეისწავლა თეალების სნეულებანი და დარწმუნებით ამტკიცებს, რომ ეს სნეულებანი პირდაპირი შედეგია საშკოლო შენობის ცუდი განათებისა. მეცნიერების მთელი რიგი შეუდგა საშკოლო აღმშენებლობის შესახებ სხვა და სხვა დებულებების შემუშავებას. საშკოლო გიგიენის საკითხები ირჩეოდა ევროპის ყოველ სახელმწიფოში სხვა და სხვა კონგრესებზე, ყრილობებზე და კონფერენციებზე. საშკოლო გიგიენის განვითარებას თან მოყვა შკოლის ექიმების ინსტიტუტის შექმნა. ესენი თეალებს ადევნებენ შკოლის ცხოვრებას, იკვლევენ მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობას და ყოველივე ამის შემდეგ ადგენენ მოხსენებებს საშკოლო ორგანიზაციებისადმი, რომლებშიაც ნაჩვენებია, თუ რა ნაკლი აქვს ამა თუ იმ შკოლას, როგორც ტეხნიკურის, აგრეთვე გიგიენურის, სანიტარულის და ესტეტიკურის მხრივ. საშკოლო ექიმების ინსტიტუტი ყველაზედ უწინ შემოიღეს ბელგიაში, 1874 წ., შემდეგ საფრანგეთში 1879 წ., მერე გოლანდიაში 1887 წ., უნგრეთში 1888 წელს. ამ მხრივ გერმანია ჩამორჩა სხვა სახელმწიფოებს. იქ მხოლოდ 1891 წელში გაჩადა პირველი საშკოლო ექიმები ქალ. ლეიპციგში. ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ახალი შკოლის შექმნაში პირველი ადგილი ტეხნიკამ დაიჭირა. საშინელი სიჩქარით განვითარებულმა ტეხნიკამ მოითხოვა საშკოლო შენობისაგან პაერი, სითბო და სინათლე. მან შექმნა სალი, მაგარი და ლამაზი შკოლის შენობა.

როგორი უნდა იყოს საშკოლო შენობა და რა ნაწილები უნდა ჰქონდეს მას?

სოფლის, პატარა ქალაქის და დიდი ქალაქის, სახალხო შკოლები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დიდ ქალაქებში შესაძლებელია ერთ და იმავე შკოლაში ცალკე კლასებში იყვენ მოთავსებული სხვა და სხვა ასაკის მოსწავლენი, სხვა და სხვა ცოდნის და განვითარების ბაზუვები. სოფელში კი ხშირათ ერთი საკლასო ოთახი ხდება ყოველგვარი ასაკის, ცოდნის და განვითარების მოსწავლეთა.

თავშესაფარათ. ამ განსხვავებას უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა კიდევ მით უფრო, რომ ევროპაში სავალდებულო სწავლის ვადა მეტათ ხანგრძლივია. გერმინიაში ეს ვადა 6 წლიდან 14 წლამდე გრძელდება, საფრანგეთშიაც ასეა; თავისთავათ ცხადია, რომ დიდი ქალაქების უზარმაზარ შკოლის შენობაში შესაძლებელი ხდება მოსწავლეების დაყოფა ასაკის, განვითარების, ცოდნის და სქესის მიხედვით.

იმისდა მიხედვით, თუ სად იყო შკოლა; მას უთუოთ უნდა ქონოდა შემდეგი ელემენტები:

1. საკლასო ოთახი.
2. ტანისამოსის გასახდელი. (კლასს გარეთ).
3. მასწავლებლის და მოსამსიხურის ბინა.
4. სათამაშო მოედანი.
5. ფეხისალაგი (შკოლის შენობის გარეთ).
6. ჭა.
7. საკუჭნაო - საწყობები.

ეს იყო სრულიათ პატარა შკოლა.

შემდეგი სახე თფრო მოზრდილი შკოლის შენობისა იყო ასეთი:

საკლასო ოთახების რიცხვთან ერთათ უნდა მომატებოდა ტანისამოსის გასახდელი ადგილის სიდიდესაც, რომელიც კუდი ამინდის დროს მოსწავლეთა სავარჯიშოთ გამოდგებოდა.

სიდიდით საშვალო შკოლის შენობას უნდა ქონოდა ზევით ჩამოთვლილ ნაწილებს გარდა:

1. სახატავი კლასი.
2. სამუსიკო კლასი.
3. კლასი ქალთა ხელსაქმისათვის.
4. კლასი ვაჟთა სახელოსნო შრომისათვის.
5. კლასი საკულინარო ხელოვნებისათვის.
6. დერეფნები—სავარჯიშოთ გამოსადეგნი.
7. სადღესასწაულო დარბაზი.

ამაზედ უფრო დიდი შკოლის შენობაში უნდა იყოს კიდევ:

1. კლასი ფიზიკის, ქიმიის და ბუნების მეტყველების შესასწავლათ.
2. დიდი სადღესასწაულო დარბაზი (სააკტო).
3. ცალკე დიდი ტანისამოსის გასახდელი ოთახი.
4. რამდენიმე ოთახი სწავლისათვის საჭირო ავეჯებისათვის.
5. საპირფარეშო და ფეხისალაგები.
6. ვანები, აუზები საცურაოთ და სხვ.
7. საჭირო ბინა მოსამსახურეთათვის, ორთქლით სათბობი მანქანე-

ბისათვის, სხვა და სხვა მასალების შესანახათ და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთი ქვეყნების შკოლებს, რო-

გორი პატარაც უნდა იყვნენ ისინი, უთუოთ აქვთ საგიმნასტიკო სავარჯიშო დარბაზები და საშრომო ოთახები.

დასავლეთ ევროპაში არა ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული შკოლის ეზოსაც. იქ საერთოთ არის მიღებული, რომ შკოლა უნდა იყოს მოთავსებული იმ რაიონის შუაგულში, რომელ რაიონსაც ის ემსახურება, სულ ერთია, ქალაქი იქნება ეს, თუ სოფელი. პრუსიის სამინისტრო სავალდებულოთ ხდის ყველასათვის, რომ მოსწავლეს ნახევარ საათზე მეტი არ უნდა სჭირდებოდეს სახლიდან შკოლაში მისასვლელათ. ამასთანავე ისიც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რომ შკოლა, რაც შეიძლება მეტათ იყოს დაშორებული ძლიერ დასახლებულ უბნებს, რასაკვირველია, იმ ანგარიშით, რომ ძლიერ არ დაშორდეს თავის რაიონს. რომ შკოლის შენობისათვის არჩეულ უნდა იქნას ჯანმრთელობისათვის საუკეთესო ადგილი, ორნაირი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. შკოლისათვის უნდა აირჩეს რაც შეიძლება მაღალი ადგილი; საჭიროა ადგილი იყოს სწორი—ვაკე,—ჰაერი ხედვობდეს თავისუფლათ ყოველი მხრიდან, იყვეს მშრალი და, თუ შესაძლოა მიქცეული იყოს სამხრეთისაკენ. საშკოლო ადგილის ნიადაგი არ უნდა იყოს გაჟღენთილი უსუფთაობით; დაცული უნდა იყოს ხმაურობისაგან და შორს ანტისანიტარულ ადგილებისაგან. სასმელი საღი წყალი ადგილი საშოვარი უნდა იყოს. რასაკვირველია, დიდ ქალაქებში ძნელია ყველა ამ პირობების შესრულება. ხშირათ შკოლის შენობის აგება უზღებათ მეტათ მჭიდროთ დასახლებულ საფაბრიკო უბნებში, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქალაქები არავითარ ხარჯს არ ერიდებიან თუ შესაძლებელია რაიმე დაბრკოლების თავიდან აცილება. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ქალაქის თვითმართველობები არავითარ ხარჯს არ ერიდებიან, ოღონდ თავიდან აიცილონ საშკოლო ეზოს სივიწროე და შეხუთული მდგომარეობა ბერლინში, მაგალ. 1911 წელს სამი ნაკვეთი მიწა შეიძინა ქალაქმა შკოლებისათვის, რაც მას დაუჯდა 773.412 მარკა. თითო მიწის ნაკვეთი 5500 კვ. მეტრს უდრის. ერთი პატარა პირველდაწყებითი შკოლისათვის შეიძინა ქალაქმა 1045 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი 74000 მარკათ. ცხადია იქ ფასს არ ერიდებიან, თუ შესაძლო იქნება იშოვონ შკოლისათვის შესაფერი საეზოვე ადგილი. რომ ბერლინში შკოლისათვის არაფერს იშურებს ქალაქის თვითმართველობა ეს იქიდანაცა სჩანს, რომ თვითეთლი ორმაგი, ესე იგი, ვაჟთა და ქალთა შკოლის შენობა უჯდებათ 800,000 მარკა და ცალმაგი შკოლა კი 133,000 მარკა. სტოკჰოლმში ერთი შკოლის საეზოვე ადგილში მისცეს 234,000 კრონა, შკოლის შენობა დაუჯდათ 1,280,000 კრონა, მეორე შკოლის საეზოვეში მისცეს 375,000 კრონა, შენობა დაუჯდათ 1,248,000 კრონა.

საუცხოვო სანახავია გერმანიის, დანიის, ნორვეგიის და სხვა ქვეყნების დიდ ქალაქებში შკოლის კონტა და ლამაზი შენობა თავისუფალი სა-

ვარჯიშო მოედნით—მაშინ, როდესაც მის გარშემო აგებულია უზარმაზარი ათ და თუთხმეტ სართულიანი სრულიათ უეზოვ შენობები.

იქ სავალდებულოთ არის მიჩნეული, რაც გინდა სივიწროვე იყოს ქალაქში, შკოლას უთუოთ მოზრდილი ეზო. უნდა ქონდეს და შენობაც სრულათ აკმაყოფილებდეს ყოველგვარ პედაგოგიურ, გიგიენურ და ესტეტიურ მოთხოვნილებას. განსაკუთრებულ სურათს წარმოადგენენ საშკოლო ეზოები ევროპის დიდ ქალაქებში, სადაც უკიდურესობამდე ავსებულ უბანში, უზარმაზარ შენობათა შუაგულში შკოლას დათმობილი აქვს ფართო მოედანი, რომლის შუაგულშიაც ამართულია საუცხოო შკოლის შენობა. ლამაზი ჩუქურთმებით დამშვენებული ალყაფის კარები შეგიყვანთ შკოლის ეზოში, სადაც თქვენ თვალს იტაცებს სისუფთავე, სიკეკლუცე და სიმშვენიერე: ამწვანებული კონდრით დაფარული ველები, ყვავილებით შემკული კვლები, სასმელი წყლის შადრევნები, გაკრიალებული საველესიპედო მოედნები და გასართობებისათვის დამზადებული ადგილები. ყოველივე ესენი ამშვენებენ საშკოლო ეზოს. ევროპის ყველა სახელმწიფოებში შკოლას უყურებენ, როგორც ეკლესიას, ნამდვილი მისი მნიშვნელობით. ასეთი შეხედულება შკოლაზე ნამდვილი პასუხია იმ რეზოლიუციის, რომელიც მიიღეს ბახელის საშკოლო გიგიენის კონფერენციაზე 1871 წელს: „სინათლე დაჰაერი, შკოლის ეზოსათვის.“

აესტრიის არქიტექტორთა და ინჟინერთა კავშირი კატეგორიულათ მოითხოვს, რომ შკოლას დაეთმოს მაღლობი, სრულიათ სალი მზის გულზე მდებარე ადგილი. პრუსიის სამინისტრო უკვე 1888 წელში მოითხოვდა შკოლისათვის საღს, შშრალს, ტენიკურათ მიზან შეწონილს საშკოლო ეზოს, რომლის მეზობლათ არ უნდა იყოს არაფერი ისეთი, რაც მავნებელია ჯანმრთელობისათვის. მთავრობები განსაკუთრებული კანონმდებლობით ფარველობენ საშკოლო ეზოებს და მოითხოვენ, რომ შკოლის მახლობლათ არ ექნეს ადგილი არაფერს ისეთს, რაც ცუდ გავლენას იქონიებს რწგორც მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, ისე მათ ზნეობრივ აღზრდაზე.

საშკოლო ეზოების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი კლასია შკოლაში, რამდენი სავარჯიშო და დამხმარე შენობები უნდა აიგოს იქ, რამდენი ბინა უნდა დამზადდეს მოსამსახურეთათვის. სიდიდე სავარჯიშო მოედნის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი მოსწავლე იქნება შკოლაში. სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ნორმებია მიღებული. 3 კვად. მეტრი თვითეულ მოსწავლეზე ეს არის პრუსიის ნორმის მინიმუმი. (კონ. 1895 წ.) ინგლისში ეს ნორმა აღწევს 10—15 კვ. მეტრამდე. თუ შკოლის შენობის ფანჯრები ქუჩისაკენაა მიქცეული, იმ შემთხვევაში შემობა უკან უნდა იქნეს დაწეული—პირდაპირ ქუჩის პირზე არ უნდა იდგეს. მეზობელ შენობებზე დაშორებული უნდა იქნეს შკოლის შენობა არა ნაკლებ 20 მეტრისა; თუ მეზობელი შენობა ძლიერ მაღალია, მაშინ ეს მანძილი 30—40 მეტრი მაინც უნდა იყოს.

საშკოლო ადგილის არჩევის დროს მხედველობაში ჰაერის შემადგენლობაც უნდა იქნას მიღებული. ეს საჭიროა განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. საერთოთ მიღებულია, რომ შკოლის გარშემო ჰაერში ნახშირ-მჟავა გაზი არ უნდა აღემატებოდეს 0,4<sup>0</sup>/<sub>100</sub>.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მხრისაკენ უნდა იქნას მიმართული ფანჯრებით შკოლის შენობა, მეცნიერთა ყურადღებას იქცევს წასული საუკუნის მესამოცე წლებიდან. თავიდანვე ორმა მიმართულებამ იჩინა თავი ამ საკითხის გარშემო.

ერთი ჯგუფის მეცნიერნი, გამოდიოდნენ რა იმ მოსაზრებიდან, რომ მზის პირდაპირი სხივების მოქმედება საკლასო ოთახზე მისცემს ამ უკანასკნელს საკმაო სითბოს, სინათლეს და მასთან ერთათ მის დეზინფექციასაც ხელს შეუწყობს, მოითხოვდნენ, რომ საშკოლო შენობას ფანჯრები მიმართული ქონდეს სამხრეთისაკენ. რომ მზის სხივებს მართლა ცხოველმყოფელი გავლენა აქვს ორგანიულ ცხოვრებაზე, რომ მზის სხივები აძლიერებენ ადამიანის კანის მოქმედებას ჰაერის ცვლაში და, რომ ადამიანის ნერვების მიმღებლობა პირდაპირ დაკავშირებულია მზის სხივების ცხოველმყოფელ გავლენასთან, ყოველივე ეს მეცნიერებისათვის უდავოთ ითვლებოდა. აგრეთვე ყველასთვის ცხადია მზის სხივების მნიშვნელობა ჰაერის გაწმენდაში სხვა და სხვა სენთა მიკრო-ორგანიზმებისაგან. ამიტომ ამ მიმართულებას საშკოლო აღმშენებლობის საკითხში, რომ შკოლა თავის ფანჯრებით მიქცეული იყოს სამხრეთისაკენ, ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ემბრობა. ასეთები არიან, მაგალითათ, დუულიანე, კანი, ფალკი, გინტერკოფერი, ცვეცი, ფარენტრაპი, კოტელმონი და მრავალი სხვა. ბევრია ისეთი მეცნიერიც, რომელიც ასეთ აზრს ეწინააღმდეგება და ამტკიცებს, რომ მზის პირდაპირ სხივებს ვნებაც შეუძლია მოუტანოს ადამიანის ორგანიზმს, შეუძლია დაასუსტოს მისი მხედველობა, ცუდათ იმოქმედოს მომეტებულმა სითბომ მის სხეულზე და სხვა... საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვანაირი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ უფრო ხშირათ შკოლის შენობები სამხრეთით არიან მიქცეული თავის ფანჯრებით.

ბ. რობაქიძე.

(გაგრძელება იქნება.)

„ადგილობრივი თვითმართველობები და ხელმძღვანელები დაქირავებულ შრომის შესახებ“

ჩვენ არ შეუდგებით მის გამოკვევას, თუ რამდენათ შეინარჩუნებს თავის მნიშვნელობას თანამედროვე სოციალისტურ ხანაში, ამ ხანად არსე-

ბული განსხვავება საჯარო და კერძო უფლების შორის: ადვილი შესაძლებელია, ეს სრულებით დაიკარგოს, და შეიქნეს მხოლოდ ერთი დარგი, უფლების ერთი სფერო, მხოლოდ ერთი შემაერთებელი უფლება. მაგრამ, ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ დარჩეს, განსხვავება უფლებათა შორის, და მხოლოდ ერთი მათგანი შევიწროვდეს, მაგალითად, — კერძო უფლებების სფერო.

ის კი არის უკვე გამორკვეული და გასაგები, რომ განსხვავება, როგორც პრაქტიკული, ისე ფორმალური მხრივ ალარ იქნება საზოგადოებრივ და კერძო სამსახურში: ალარ იქნება ორგვარი სამსახური, იქნება მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი. ამის შესახებ, ჩვენ უკვე ნაჩვენები გვქონდა ჟურ. „კავკასიის ქალაქ“-ის მე 13-14 ნომერში, (იხ. წერილი „ქალაქის მოსამსახურებზე“), ჩვენ უკვე მივათითეთ იმაზე, რომ დადგება დრო, როცა მოისპობა განსხვავება და იქნება მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი სამსახური, მაგრამ ეს დრო, ჯერჯერობით, არ გვწვევია. როდესაც ვმარტავდით ყოველივე ამას, ჩვენ არავითარი პირმოთენობა არ გვქონია მხედველობაში: ჩვენ როგორც ამ ჟამათაც, გვხელმძღვანელობს რწმენა, რომ სანამ არ მოისპობა განსხვავება ერთგვარ და მეორე გვარ სამსახურთა შორის, სანამ თვითეული მათგანი ინარჩუნებს თავის სპეციფიურ სახეს, არ შეიძლება, სინამდვილის ძალადაუტანებლათ, მათი დაქვემდებარება ერთ და იმავე ნორმისათვის, და მით უმეტეს კერძო უფლების ნორმისათვის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ არსებული გაყოფა ნორმებისა, ორ დიდ ჯგუფათ—უფლება საჯარო და უფლება კერძო ანუ სამოქალაქო,—არ არის იურისტებისაგან შეთხუზული და მოგონილი. ის არის ცოცხალი სინამდვილის გამოხატულება, გამოხატულება ისტორიისაგან შექმნილ დამოკიდებულებათა, რომელსაც ყველა გრძნობს და ყველა მხარს უჭერს; და ეს დაყოფა (საჯაროთ და კერძო უფლებათ) იმდენათ ცხოველია რომ ჯერ კიდევ რომის იურისტის ულპიანის განსაზღვრა, რომ *publicum jus est, quod ad statum rei Romanae spectat, privatum, quod ad singulorum utilitatem pertinet*, არ არის შეცვლილი.

თუმცა ეს ზემო მოყვანილი განსაზღვრა, რომ შეუძლებელია აღვნიშნოთ საზღვარი საზოგადოებრივ და კერძო ინტერესების შორის, სავსეა ნაკლებოვანებით, მაგრამ ის მაინც ექვ ვარეშეა, რომ განსხვავება ყველასათვის საგრძნობელია, კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ გვარი განსხვავება მოისპობა მაშინ, როდესაც ინტერესების სხვადასხვაობას გამოცვლის საზოგადოებრივი ინტერესი.

და სანამ ეს არ იქნება, ვიმეორებთ, ჩვენ არ შეგვიძლია გავათანასწოროთ. უფლების შექმნა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რაც გსურს ის დააკანონო, არამედ უნდა მოიძებნოს საგანთა ქეშმარიტი დამოკიდებულება, სხვანაირათ მოქმედება იქნებოდა ძალადობა და ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა.

აღდგენისთვის და ახალი შენებისთვის საჭიროა არ დავევიწყოთ შენების ხასიათი, მისი თვისებანი, მისი სტილი, რომ შთაბეჭდილების მთლიანობა დაცულ იქნეს.

მაგრამ, სჩანს ჩვენი შეხედულებას ყველა არ იზიარებს. შეიძლება ის ბურჟუაზიული აღმოჩნდეს, სოციალისტისთვის არ მისაღები, შეიძლება ზოგისთვის რეაქციონურიც აღმოჩნდეს განსაკუთრებით ახლა, როცა დემოკრატიზმი სხვანაირათ ესმით და ყველას „რევოლიუცია“ აკერია პირზე თავისი პირადი „მე“ განამტკიცოს. მაგრამ ლათინური თქმულების არ იყოს, *de gustibus non disputandum*. (გემოვნების შესახებ არ სჯიან).

ჩვენ მხედველობაში გვაქვს, როგორც საბათურიდან მიხვდება მკითხველი, ის კანონ-პროექტი შრომის ხელშეკრულობისა, რომელიც იყო შრომის სამინისტროს მიერ დამუშავებული და იყო წარდგენილი, სამინისტროების წარმომადგენლების, საზოგადოებრივი დაწესებულებების, მექარხნეების საზოგადოების და პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელთა წინაშე\*).

ეს კანონი,—როგორც პროექტის პირველი მუხლი ამბობს.—ეფარდება ყოველგვარ შრომის ხელშეკრულებას, რომლის ძალით ერთი პიროვნება—დაქირავებული, აძლევს,—განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ დროით ან დაპირებულ მუშაობის გათავებამდის თავის მუშაობის ძალას მეორე პიროვნებას—დამქირავებელს, რომელიც დაქირავებულს აძლევს ჯილდოს.

ამასთანავე, ამ მუხლის განმარტების შენიშვნაში ნაჩვენებია, რომ კანონი არ ვრცელდება სახელმწიფოებრივ დაწესებულებებზე; იმ ხელშეკრულებებზე, სადაც დაქირავებულნი არიან ადმინისტრაციულ მოღვაწეობისათვის.

როგორც მკითხველი ხედავს, საზოგადოებრივ დაწესებულებები (ეროვნები და ქალაქები) არ შეადგენენ გამონაკლისს: ეს კანონ-პროექტი მათზედაც ვრცელდება მხოლოდ, ერთ რამეში აქვს მათ შეღავათი: რაც იწვევენ იმისთანა სამუშაოსათვის, რაც სამხედრო და სახელმწიფოებრივ საიდუმლოს შეადგენს. ამ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, მუშები და მოსამსახურეები შეიძლება იქნენ მოწვეულნი სამუშაოთ, შრომის ბირჟის გარეშე. ჩვენ არ ვიცით ის მოსაზრებანი რომელითაც ხელმძღვანელობდა შრომის სამინისტრო, სახელმწიფოს დაწესებულებებს როცა აკლებდა. ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში მას, რაც მოთავსებულია პროექტის პარაგრაფებში, ვფიქრობთ, რომ აქაც არ ჩაიარა „რევოლიუციის“, და დემოკრატიულ პრინციპების უხსენებლათ და შესაძლებელია, რომ ეს იყო სწორი მათი უმთავრესი სახელმძღვანელო მოტივი.

განა საკმარისია მარტო დემოკრატიზმზე დაყრდნობა, და არ გაე-

\*) ეს კანონ-პროექტი მოთავსებული იყო გაზ. „ბორბას“ 230, 232 და 235 ნომრებში.

წიოს ანგარიში ფაქტიურ საქმის მდგომარეობას? არამც თუ საკმარისია, ეს უსარგებლოცაა.

რა არი შრომის ხელშეკრულება? თუ ამ საკითხს დეტალურად არ შევეხებით, და თავიდან არ ავიცდებით მის ანალიზს,—ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ, უკვე ლიტერატურაში დამუშავებული პასუხით—პრ. ლ. ს. ტალესი. ამ უკანასკნელის გამორკვევით, „შრომის ხელშეკრულება, არის ხელშეკრულება, რომლის ძალით ერთი პიროვნება აძლევს ჯილდოს მეორე პიროვნებას, რომელმაც დახარჯა თავისი ენერგია ამა თუ იმ საქმის შესრულების დროს“. ამ ზემომოყვანილ დებულების მიხედვით, შრომის ხელშეკრულება არი მოქალაქობითი უფლების შეთანხმება, შეთანხმება რომელსაც აქვს მიზნათ რეგულიაცია ერთ-ერთ ტიპიურ კერძო დამოკიდებულებისა—სამუშაო ძალის გამოყენება მეურნეობაში ან სხვა რაიმე დაწესებულებაში—სამოქალაქო სფეროში ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას, რომლითაც, როგორც ამბობს პრ. ლ. ს. ტალი, ერთი პიროვნება პირდება მეორე პიროვნებას შეასრულოს ეს თუ ის სამუშაო, არა პატრონის მორჩილების ქვეშ.

საზოგადოებრივი დაწესებულებანი (ქალაქები და ერობები) გამოდიან ორნაირ როლში: როგორც ადგილობრივი გამგეობის ორგანო და მასთან დამე, როგორც უფლების მქონე ორგანო, ე. ი. დამქირავებელნი. როგორც უფლების მქონე ორგანოები ისინი ექვემდებარებიან საჯარო უფლებას და როგორც დამქირავებელნი ისინი ექვემდებარებიან კერძო უფლებას.

შრომის ხელშეკრულება, როგორც უკვე ზემოთ გამოიკვია, კერძო უფლების შეთანხმებაა; მასთან დამე, შრომის ხელშეკრულებით ირკვევა და უნდა ირკვეოდეს ის დამოკიდებულება, საზოგადოებრივ დაწესებულებების თავიანთ მოსამსახურებთან, რომელთა საშვალებით ეს თუ ის დაწესებულება წარმოიბს წინამდებარე საქმით ან როგორც პატრონი აწარმოებს რაიმე საქმეს კერძო უფლების სახით.

რამდენათ საზოგადოებრივი დაწესებულებები თავიანთ უფლებით უთანასწორდებიან სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, და იმყოფებიან საჯარო უფლების ნორმის ქვეშ, იმდენათვე დამოკიდებულება მათ შორის და მათთან მოსამსახურებისა, უნდა ექვემდებარებოდეს იმავე საჯარო უფლების ნორმით და არა მოქალაქოებრივი უფლებით. ამიტომ, ჩვენთვის გამოურკვეველია, კანონ-პროექტის მიერ დადგენილება, განსხვავება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების შორის. შრომის სამინისტროს თუ კი სურდა, რომ ეს მოეხდინა წესრიგით, სახელმწიფო დაწესებულებანი არ უნდა ჩაერიცხა გამონაკლისთა შორის.

ამით შეგვეძლო ჩვენ გაგვეთავებია ჩვენი შენიშვნა, მაგრამ გვსურს ავლნიშნოთ ჩვენი შეხედულება და ამიტომ არ შეგვიძლია არ მივცეთ თავს ნება და ერთი ორიოდე სიტყვა ჩვენი მოსაზრების შესახებ არ ვთქვათ.

დაუშვათ მაგალითად, რომ ჩვენ ვიყავით მტყუანი, რომ ჩვენი მო-



საზრებანი უსაფუძლოა და ნაკარნახევია სურვილით, რომ საქმესთვის მიგვეცა ჩვენთვის სასურველი ხასიათი.

წარმოვიდგინოთ, რომ მოსამსახურემ ჩაიდინა რაიმე ბოროტმოქმედება, როგორც არი მავალითად საქმის შეუსრულებლობა ან და უფლების ბოროტათ გამოყენება.

წარმოვიდგინოთ, მოსამსახურის ბოროტმოქმედება გამოიხატება იმაში, რომ მან მიიღო „საჩუქარი“. ნუ თუ, მოსამსახურის მიერ მიღებული „საჩუქარი“ არი ბოროტმოქმედება? ჩვენ, ჩვენი წარსული ცხოვრებით, ისე შეჩვეულნი ვართ საჩუქარზე, რომ თუნდ წარწერაც იყვეს, რომ „აქ საჩუქარი არ შეიძლება“, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია არ ვაჩუქოთ ერთი-ორი ოდე კაპეიკი. თვით საჩუქრის ამღები არ თვლის ამას ბოროტმოქმედებათ და დიდის სიამოვნებით იღებს მას.

სხვათა შორის, საჩუქრის მიღებას, საზოგადოებრივ დაწესებულებების მოსამსახურის მიერ თან მოყვება ხოლმე ცუდი და მძიმე შედეგი. კანონი, ასეთი საჩუქრის მიმღებს სჯის და სამსახურიდან ითხოვს.

რატომ?

ეს ყოველივე იმიტომ, რომ ის არის, არა მარტო მოსამსახურე, არამედ, კანონის თვალსაზრისით, ის არი თანამდებობის პიროვნება.

მაგრამ, რაში გამოიხატება სამსახურიდან დათხოვა? სამსახურიდან დათხოვნა, გამოიხატება იმაში, რომ პიროვნებას ართმევს უფლებას, 3-წლის განმავლობაში, შევიდეს რაიმე ახალ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ სამსახურში. მაგრამ შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის მიხედვით, ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს დამქირავებელის მიერ მხოლოდ კანონ-პროექტის 78 მუხ. ძალით ნაჩვენებ შემთხვევაში. თუმცა 78 მუხ. 7 პარაგრაფში ხელშეკრულების დარღვევის შესახებ ნათქვამია „დაქირავებულის პასუხისგებაში მიცემის გამო და სასამართლოს მიერ აღიარებული დამნაშაობის გამო, რომლის შედეგად არის ციხეში ჯდომა.—ამ მოყვანილ პარაგრაფში გათვალწინებულია, საერთო და არა „მოვალეობითი“ ბოროტმოქმედება.

წარმოვიდგინოთ, რომ მოსამსახურის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, არ ისჯება სისხლის სამართლის სასამართლოთი, არამედ მხოლოდ დისციპლინალურ წესრიგით.

რაში გამოიხატება დასჯა დისციპლინალურ წესრიგით?

ეს დასჯა შემდეგია: შენიშვნა და მითითება რაიმე ცუდ საქმეზე; რაიც არ უნდა იქნეს შეტანილი ქალაქებში, ჯამაგირიდან გამორიცხვა, ჩამოყენება უმაღლეს მოვალეობიდან მცირე მოვალეობაზე, სამსახურიდან გადაყენება და 7 დღით ციხეში ჩასმა.

შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტში, რასაკვირველია არ არი ნაჩვენები ნორმა, რომელიც ირკვევდეს დისციპლინალურ წესრიგს და არც თვით დისციპლინალურ დასჯას. კანონ-პროექტი-კი კრძალავს ამ ზომას.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ მოსამსახურეს არ ჩაუდენია არც პირველი არც მეორე დანაშაულობა, მაგრამ მასზე არის „ცოდვა“—და „ცოდვა“ გამოიხატება იმაში, რომ ის, სამსახურ გარეთ, იქცევა არა სასურველად, (ქეიფობს, ლოთობს, ეწევა ცუდ ცხოვრებას, ჩხუბობს და სხვა) ეწევა სპეკულაციას და სხვა და სხვა.

კერძო პირისათვის ეს ყოველივე სულ ერთია; მას არ აინტერესებს მოსამსახურის კერძო ცხოვრება; მას ჭირდება მხოლოდ ერთი, რომ მოსამსახურე იყვეს მის განკარგულებაში მის ფლობელობის ქვეშ რამოდენიმე საათით და სხვა საათებთან მას არავითარი საქმე არ აქვს.

უფლების ორგანოსათვის-კი ეს სულ ერთი არ არის. მოსამსახურის კერძო ცხოვრება აინტერესებს მას. ის მოითხოვს ერთგვარ პატივცემით მოპყრობას ადგილობრივ მცხოვრებლებთან. თუ ეს ყოველივე არ იქნა დაცული მაშინ თვით უფლების ორგანო ჰკარგავს თავის ავტორიტეტს, რადგან მისი ავტორიტეტის შემქნელი არი თვითეული მისი მოსამსახურეთაგანი. ამიტომ, საზოგადოებრივ დაწესებულებებმა, როგორც უფლების ორგანოებმა, უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ყოველივე ამას და ეცადონ, რომ მათმა მოსამსახურეებმა არ ჩაიდინონ რაიმე არა სასიამოვნო საქმე, რომელიც დაუკარგავს თვით დაწესებულებას ავტორიტეტს. თუ კი დაწესებულება შეამჩნევს, თავის მოსამსახურეში, ყოველივე ამას, მან აუცილებლათ უნდა მოიშოროს ასეთი პიროვნება თავიდან,—უნდა დაითხოვოს სამსახურიდან.

თუმცა ასეთი უფლება, კანონ-პროექტში არაა ნაჩვენები, მაგრამ მთლათ, მთელი, კანონიდან კი შეიძლება ადამიანმა გამოიტანოს ზემოაღნიშნული უფლება.

დარჩა კიდევ ბევრი მოსაზრებათაგანი, რომლის მოყვანა კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ყოველივე ზემოთქმულით გვეძლევა საშუალება, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

აუცილებელია, შეუთანაბაროთ მომქმედი საზოგადოებრივი უფლება (როგორც სახელმწიფოებრივი ისე სისხლის სამართალი) შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტს, ან და კანონ-პროექტიდან გამოვაკლოთ სიტყვები: „სათანადო ადგილზე საზოგადოებრივიც“, და მესამე მუხლში წაიშალოს სიტყვა „დაწესებულება“.

ჩვენ არ ვიღებთ ჩვენ თავზე მოვალეობას, თუ რამდენათ სამართლიანია ჩვენი მოსაზრებანი; იმას კი ვიტყვით, რომ ის ამართლებს მეორე დასკვნას!

თუ ამ კანონ-პროექტს წილათ შეხვდება კანონათ გადაქცევა, ამით გამოწვეული იქნება დიდი არევ-დარევა და გაუგებრობა, რომლის ბრწყინებებიდან განთავისუფლება ძლიერ ძნელი იქნება.

# ქ რ ო ნ ი კ ა .

## ქალაქთა თვითმართვებულობაში.

თბილისის ქალაქის გამგეობამ ბაქოში იყიდა 10 ვაგონი ნავთი, ამის გამო გამგეობამ დაადგინა ამ ნავთის მოსათავსებლათ რეკონსტრუქცია უქნას ტერ-აბრამოვის ნავთის ბითუმ-საწყობს.

✳ **სადეზინფექციო მუშაობა.** თბილისში სახალისი გავრცელების გამო ქალაქის სადეზინფექციო კამერაში ქალაქის გამგეობის განკარგულებით დაწესდა, რომ დეზინფექტორებმა ბინების სადეზინფექციოთ იმუშაონ დღე და ღამე. ამისთვის დანიშნულია დეზინფექტორთა ოთხი რიგი. ყოველ მომუშავეთა რიგს კვირაში ერთი დღე ეძლევათ დასასვენებლათ.

✳ **ტყის მასალის გადაცემა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა საქართველოს ქალაქთა კავშირის სამეურნეო ბიუროს გადაეცეს ერთი ჯვარის ტყის მასალა მე 300-სე ვერსის საწყობიდან.

✳ **დახმარება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა დასახიჩრებულ ჯარისკაცთა კავშირის სასაძილო განთავისუფლებულ იქნეს ქალაქის სასარგებლოთ დაწესებულ „სატრაქტირო“ გადასახალისაგან.

✳ **„კეზონაფტოლი“.** ქალაქის მედიკურ სასანიტარო საბჭომ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ გაგზავნოს ბაქოში თავისი მოხელე „კეზონაფტოლის“ (მწერის მმუსერელი) საყიდლათ და ჩამოსატანათ თბილისში სახალისთ ავადმყოფობასთან საბრძოლველათ.

✳ **საბაჟო მილიციის დაარსება.** სახელმწიფო ხაზინაში შესატანათ სხვა და სხვა დასახელებულ გადასახალის და ბაჟის მოსაგროვებლათ თბილისში არსდება საბაჟო მილიცია. თბილისი სულ 14 საბაჟო ნაწილად არის განაწილებული და ამ გადასახალისების მოსაგროვებლათ ყოველ ნაწილში უნდა დანიშნოს 1 კომისარის თანაშემწე, 1 უფროსი და 2 უმცროსი მილიციონერი.

✳ **ქალაქის მოღვაწეობა განათლების დარგში.** ქალაქის გამგეობამ გადასდო 4.000 მან. ცალკე ბროშიურის გამოსაცემათ. ბროშიურა შეეხებჯ ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილების მოღვაწეობას ამ წელიწად ნახევრის განმავლობაში.

✳ **მეეზოვების დაქირავების შესახებ.** ქალაქის გამგეობამ 28 დეკემბერს დაადგინა, რომ ყოველ სახლის პატრონმა, რომელსაც სახლის შემოსავალი 5.000 მან. მეტი აქვს, იყოლიოს მეეზოვე და ვისაც ამაზე მცირე შემოსავალი აქვს, შეუთანხმდეს მეეზოველს მათ დასაქირავებლათ. თბილისის სახლის პატრონების კავშირი არ დაკმაყოფილდა ამგვარი დადგენ. და ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა. შეცვალოს მან თავისი დადგენილება და დაავალოს მეეზოვების დაქირავება ყველა ცალკე სახლის პატრონს, რომელთაც შემოსავალი სახლიდან უმეტეს 25.000 მან. აქვს

ანუ შეუერთდნენ იმდენ მეზობლებს, რომელთაც შეერთებულთ სახლების ქირის შემოსავალი არა ნაკლებ 25.000 მან. ექნებათ. შუამდგომლობაში ის მოტივი არის წამოყენებული, რომ ამ ჟამათ სახლის პატრონებს ბევრი ხარჯი აქვთ და შემოსავალი კი მცირე, რადგანაც სახლის ქირის მომატების უფლება მათ არა აქვთ, ამასთანავე მეეზოვეთა კავშირი დიდ ჯამაგირებს თხოულობს და ამ ჯამაგირების გარდა სხვა მრავალ მოთხოვნილებასაც უდგენს.

❖ **პენსიების შესახებ.** ქალაქის გამგეობამ განიხილა რა საკითხი ქალაქის მოსამსახურეთა პენსიის დანიშვნის რაოდენობის შესახებ დაადგინა, რომ პენსიის დანიშვნა მის რაოდენობის გადაწყვეტილობაში უნდა მიღებულ იყოს სახეში, სამსახურის ხანგრძლიობა იმ პირისა, ვისაც ეს პენსია ენიშნება და შუა რიცხვი იმ ჯამაგირისა, რომელიც მას ეძლეოდა სამსახურიდან განთავისუფლების წინად სამი წლის განმავლობაში, მხოლოდ პენსიის რაოდენობა არ უნდა იყოს 500 მან. მეტი ყოველ თვეში.

❖ **მოკლულ გვარდიელთა ოჯახთათვის შემწეობა.** სახალხო გვარდიის შტაბის წარმოდგენისამებრ ქალაქის გამგეობამ ას-ასი თუმანი შემწეობა დაუნიშნა მოკლულ სახალხო გვარდიელ ზაქარია ზაალიშვილის ქვრივს, მოკლულ გედეონ ბუჩუხაშვილის ძმას, მოკლულ გვარდიელ მელიტონ ცომაიას ქვრივს, მოკლულ გვარდიელ მელიტონ კუჩუხიძეს ქვრივს და მოკლულ გვარდიელ კოსტანტინე ტიგიშვილის დას.

❖ **სასურსათო განყოფილების შტატი.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი შტატი გამგეობის სასურსათო განყოფილებისა. შტატი შემცირებულია.

❖ **მილიციის განყოფილების შტატი.** ქალაქის გამგეობამ ნება დართო მილიციის უფროსს მილიციის შტატის გასადიდებლად დანიშნოს კიდევ 8 უბნის კომისრების თანაშემწენი, 2 უფროსი და 4 უნცროსი მილიციონერი. მილიციის შტატის გადიდება გამოწვეულია მით, რომ სახემლწიფოს სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადების და ბაჟის შესაკრეფათ არსდება მილიციის საგანგებო განყოფილება.

❖ **შუამდგომლობა სალიკვიდაციო ხარჯების შესახებ.** ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ქალაქის თვითმართელობასთან არსებულ ლტოლვილთა კომიტეტს მიეცეს თავის საქმეების სალიკვიდაციოთ 370.000 მანეთი.

❖ **ერთდროული დახმარება პოლიტეხნიკუმის.** პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის მოწყობის მთავარი კომიტეტის თხოვნით, თბილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მისცეს დახმარება 60.000 მან. რაიც მიეცემათ 1919 წ. თებერვლის პირველ რიცხვიდან 10.000 მანეთი თვეში.

❖ **დამატებითი ხარჯთაღრიცხვა.** გამგეობა შევიდა საბჭოში მოხსენებით, რათა შეტანილ იქნეს 1918 წლის ხარჯთაღრიცხვაში, დამატებითი ხარჯი, რომელიც გამგეობას მოუვიდა მცხოვრებთათვის წყლის მიწოდ-

დების დროს. გამგეობის მიერ დახარჯული იყო 8,500 მან. წყლის მისაწვდენი ბოჭკების მოწყობაში, და 48.215 მან. უფასო წყალსადენ მილების მოწყობაში. მთელი დამატებითი ხარჯთაღრიცხვა გამოიხატა 127.381 მანეთში.

✱ **ნაძალადევის სასწავლებელში.** ნაძალადევის პირველ დაწყებითი ქართულ სასწავლებლის გამგეთ ქალაქის გამგეობამ იმავე სასწავლებლის მასწავლებელი ანნა მგელაძე დანიშნა.

✱ **ზუბალაშვილის სახლი.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სავალდებულო დადგენილება ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მოსიარულეთათვის.

✱ **დიღუზის ბორანი.** ქალაქის გამგეობამ დიდუზის ბორანის მოიჯარადრე სამოდუროვს ნება დართო ბორანით მტკვარზე გადაყენება-გადმოყენაში ფასი მოუმატოს და თითო სულის გადასაყენათ 5 კაპ. გადაახდენინოს.

✱ **სამისამართო მაგიდა.** ქალაქის გამგეობამ მოიწონა წინადადება სამისამართო (Адъесный столъ) მაგიდის მოსამსახურეთა გადაყენება-გადმოყენების ნაციონალიზაციის განსახორციელებლად.

✱ **ქუთაისის თვითმართველობის წინადადებით აღმასრულებელ ბიუროში წარდგენილია დასაბუთებული შუამდგომლობა, რათა რესპუბლიკის მთავრობამ გაანთავისუფლოს ქალაქები ექიმებისა, ფერშლებისა და ბებების ხარჯებისაგან. ეს ხარჯი უნდა თავს იღვას სახელმწიფო ხაზინამ.**

✱ **შესდგა კრება ახლად დაარსებულ საექიმო—სანიტარულ საშქოსი.** განხილულ და მიღებულ იქნა მედიკო-სანიტარული განყოფილების მიერ წარდგენილი ერთი ნაწილი საბჭოს მუშაობის პროგრამისა. განხილულ იქნა ცენტრალ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგე ექიმის ელიავას მოხსენება, ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის ახალ საფუძველზე მოწყობისათვის, რაც უნდა შეეფერებოდეს ქალაქთა კავშირის მუნიციპალურ ახალ მიზნებს. მედიკო-სანიტარულ განყოფილებას მიეცა წინადადება. შემდეგი სხდომისთვის, რომელიც თებერვლის ბოლო რიცხვებში უნდა შესდგეს, გააკეთოს მოხსენება საექიმო—სანიტარულ ტიპების ორგანიზაციების და აკრეთვე სამკურნალო დაწესებულებებისა რესპუბლიკის ქალაქებში.

✱ **აღმასრულებელ ბიუროს დადგენილებით მოწვეულია მოსამსახურეთა ექიმი. მას ევალება კავშირის დაწესებულებათა სანიტარული ზედამხედველობა და საექიმო დახმარების აღმოჩენა ყველა კავშირში მოსამსახურეთათვის და მათ ოჯახებისათვის.**

✱ **პარტახტიანი ტიფის გავრცელებასთან ერთად რესპუბლიკის ქალაქებს გაეგზავნა შეკითხვა ამ ეპიდემიის გავრცელების შესახებ. ამ შეკითხვას ის მიზანი ჰქონდა, რომ მოწყობილიყო ამ ეპიდემიასთან ბრძოლა იმ ქალაქებში, რომელთაც თავისი ძალით ეს არ შეეძლოა. მედიკო-სანიტარული განყოფილების წარმომადგენელმა ტიფთან ბრძოლის რწმუნებულის საგანგებო კომისიაში აღძრა საკითხი თუ რა დამოკიდებულება უნდა**

იყოს ქალაქთა კავშირის და რწმუნებულის შორის. გამოიკვეა შემდეგი: ორგანიზაციის განმანაწილებელ როლს იღებს რწმუნებული, თვითმართველობანი იძლევიან სახსარს, ქალაქთა კავშირი დაზარებების მოწყობილებას და მედიკამენტებს. თუ საჭირო იქნება დამატებითი ხარჯები, მაშინ რწმუნებული იღებს ამას მთავრობის მიერ გადადებული თანხიდან.

✱ სენაკის ქალაქის არჩევნები ქუთაისის. საოლქო სასამართლომ გააუქმა.

✱ თბილისის ქალაქის საბჭოში. 17 თებერვალს შესდგა საბჭოს სხდომა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. ქალაქის მოურავად არჩეულ იქნა ბენიამინ ჩხიკვიფილი, ქალაქის მოურავის ამხანაგად გიორგი კონიაშვილი; გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: მასალკინი პავლე, ბესელიძე იოსები და ფანიევი კოსტანტინე. გამგეობის მეოთხე წევრის არჩევა გადაიდო.

ქალაქის თავს დიენიშნა თვიურათ 2250 მანეთი, ხოლო თვითეულ გამგეობის წევრს 2000 მანეთი.

საბჭომ ამოიჩრია შემდეგი კომისიები: 1) საფინანსო საბრუჯეტო—15 წევრით (სოც. დემოკ. მხრივ) ნ. ელიავა, თოფურიძე, აუშტროვი, ჩადუნელი დ., მაჭავარიანი გ., სულიაშვილი დ., სირბილაძე გრ. და ზურაბოვი.

(სოც. ფედ. მხრივ): სვ. მდივანი. (ნაც. დემოკ. მხრივ): გოთუა, ჯაყელი, სულუყია და აფხაზი კ.

2) სარევიზიო—11 წევრით (სოც. დემ. მხრივ): მიკირტუმოვი, ელენტი, რამიშვილი, კოვალიოვი, გოგუა და მაჭავარიანი. (სოც. ფედ. მხრევ): ალ. მდივანი, აკ. პაპაეა. (ნაც. დემ. მხრივ): ა. წვერაეა. (უკიდურ.) გრ. ვემაპელი.

3) სამურნეო სასურსათო—9 წევრით (სოც. დემ. მხრივ): სადაგიშვილი, ბერიტაშვილი, ლოსკუტოვი, რამიშვილი, ხუნდაძე. (სოც. ფედ. მხრივ): ლლონტი, სტურუა (ნაც. დემ. მხრივ): კალანდაძე, ბერელაშვილი ვ. 4) შტატების საორგანიზაციოს—7 წევრით: (სოც. დემ. მხრივ): ჯიბლაძე, რუსია, დიდიძე, კანდელაკი, ხელაძე. (სოც. ფედ. მხრივ): არ. ჯაჯანაშვილი. (ნაც. დემ. მხრივ): სპ. კელია. 5) ჯანმთელობის კომისიაში შევლენ ყველა ექიმი ხმოსნები, 6) ირიუდიულ კომისიაში შევლენ ყველა იურისტი ხმოსნები და 7) ტეხნიკურ კომისიებში შევლენ ყველა ტეხნიკოსი ხმოსნები.

ამორჩეულ იქნა აგრეთვე სარეკომენდაციო კომისია 9 წევრისაგან: (სოც. დემ. მხრივ): ჯიბლაძე, რუსია, კახიანი, ფირცხალაიშვილი, ქავთარაძე. (სოც. ფედ. მხრივ): არ. ჯაჯანაშვილი და გველესიანი. (ნაც. დემ. მხრივ) გოთუა, გვაზავა.

შემდეგ საბჭო ადასტურებს გამგეობის მოხსენებას ლტოლვილთა სასარგებლოთ, სახელმწიფო. თეატრში გამართულ კონცერტის საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კალაქების ადამიანების რაოდენობა

ქალაქების სახელი	ადამიანების რაოდენობა		ქალთა რაოდენობა		კაცთა რაოდენობა		საბავშვო და სპორტული მოწოდებების რაოდენობა		საბავშვო და სპორტული მოწოდებების რაოდენობა		საბავშვო და სპორტული მოწოდებების რაოდენობა		საბავშვო და სპორტული მოწოდებების რაოდენობა		
	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	რესპუბლიკის	საბავშვო და სპორტული მოწოდებების	
თბილისი	90	26909	69	3806	10	2924	7	141	—	440	1	6	—	—	
გორი	33	2326	22	572	5	691	6	—	—	—	—	—	—	—	
სიღნაღი	30	—	25	—	3	სხვა	4	—	—	—	—	—	—	—	
თელავი	30	—	16	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	
ხაშური	20	—	19	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	
სურამი	20	779	14	53	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
ქუთაისი	60	არ ჩე	კენე	ბი	6	და	2	88	1	—	—	—	—	—	
ფოთი	31	2864	22	721	5	281	2	—	—	—	—	—	—	—	
ოზურგეთი	20	1023	14	346	5	79	1	—	—	—	—	—	—	—	
ყვირილა	20	941	13	343	5	112	1	35	—	—	—	—	—	—	
ლანჩხუთი	20	1589	16	114	1	229	2	—	—	—	—	—	—	—	
ახალ-სენაკი	20	—	—	—	12	—	—	8	86	—	—	—	—	—	
სამტრედიო	20	2474	16	367	2	128	1	116	1	—	—	—	—	—	
ხონი	20	—	14	—	1	—	5	—	—	—	—	—	—	—	
ქიათურა	20	684	14	125	3	55	1	75	2	—	—	—	—	—	
<b>სულ:</b>	<b>454</b>	<b>—</b>	<b>274</b>	<b>—</b>	<b>56</b>	<b>—</b>	<b>31</b>	<b>—</b>	<b>4</b>	<b>—</b>	<b>1</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>1</b>	<b>6</b>

\*) დანართი ქალაქების ცნობა ჯერ არ მიგვიღია.

✱ **ქუთაისის მილიციის შესანახათ.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ხაზინამ იკისროს მილიციის შესანახი ხარჯების ნახევარი, რაც თვითურათ შეადგენს 70828 მ. 33 კ. ამასთან ერთათ გამგეობა აცნობებს მინისტრს, რომ ეს საკითხი განხილულ იქმნა ქალაქის საბჭოს მიერ, რომელმაც დაადასტურა ქალაქის გამგეობის მოხსენება.

✱ **ქუთაისის არჩევნების გადადება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დააკმაყოფილა, ქალაქის საბჭოს თხოვნა, რომ ქალაქის არჩევნები გადადებული იქნეს მარტის პირველ რიცხვებისთვის.

✱ **ბათუმში.** მომავალ ქალაქის საბჭოს შემადგენლობა საბოლოოდ გამოირკვა: რუსებს მიეცა 19 ხმოსანი, აქედან 4 უკრაინელებს, ქრისტიან ქართველს 11, მაჰმადიან ქართველს 6, სომხებს-14, ბერძნებს—7 და ორ ორდებრაელებს და პოლონელებს.

### ქალაქთა კავშირში.

**საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ყრილობა** მოხდება 16 მარტს. ყრილობის პროგრამაა:

- 1) მთავარ კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებანი.
- 2) ადგილობრივი საქალაქო თვითმართველობათა არჩევნების შესახებ ცნობანი.
- 3) ქალაქთა საბიუჯეტო უფლება.
- 4) საქალაქო დებულება.
- 5) ერობათა და ქალაქთა ურთიერთობა.
- 6) მთავარ კომიტეტის არჩევა.

✱ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირს, რათა მას ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმისათვის და სახალხო მილიციისათვის დაეთმოს ასი წყვილი ტილოს ყელიანი წაღები იმ ფასად, როგორც ეს კავშირს უღირს.

✱ სამეურნეო ბიურო დებულობს სწრაფ ზომებს, რათა შეიძინოს კვინტი და ფხნილი შაქარი; ეს ოპერაცია ბრკოლდება ნაღდ ფულის უქონლობის გამო.

სამეურნეო ბიურო შეუდგა საქონლის დამზადებას უკრაინაში გასაგზავნათ. ეს საქონელი გაცვლილი იქნება შაქარზე. ნაწილი საქონლისა უკვე მზათ არის და როგორც კი გაიხსნება ნორმალური მიმოსვლა უკრაინასთან, იმწამსვე გაიგზავნება. კერძო შექმნა წარმოობს, სხვათაშორის, კერძო პირებთანაც მაგალ ფოთში, მაგრამ განსაზღვრულ ზომებში, რადგან ეს საქმე მოითხოვს მილიონებს.

✱ სამეურნეო ბიუროს მიერ შექმნილი ნავთი განაწილებულია ქალაქთა შორის. ნავთი განაწილდება ქალაქთა შორის ცენტრალ სასურსათო



საბჭოს მიერ ქალაქთა კავშირის ცნობებით, ეს ცნობები მიღებულია ანკეტის შემწეობით. რადგან ზოგიერთმა ქალაქმა დაავიანა ანკეტის გამოგზავნა, რითაც შეფერხდა სწორი განაწილება.

✳ ახლო მომავალში სამეურნეო ბიურო მოელის ბაქოდან საქონელს, როგორც: ბრინჯს, ფართლეულობას, გამხმარ ხილს, ნავთს და სხვას.

✳ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა მიენდოს სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ს. რობაქიძეს მოაწყოს წინა მორბედი მუშაობა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზაციისათვის.

✳ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილების მიერ, მთავარი კომიტეტის წევრი ს. რობაქიძე და თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ვლ. ბაქრაძე, გაიგზავნენ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებში, რათა მოლაპარაკება მოახდინონ ადგილობრივ თვითმართველობებთან მოძრავი უნივერსიტეტის მოქმედების შესახებ. გაგზავნილნი ჯერჯერობით დაივლიან შემდეგ ქალაქებს: თელავს, სიღნაღს, დუშეთს, ხაშურს, კიათურას, ზესტაფონს, ქუთაისს, ხონს სამტრედიას, სენაკს, ზუგდიდს, ლანჩხუთს, ოზურგეთს და ფოთს. ამათ უნდა გამოირკვიონ ადგილობრივ თვითმართველობებში, თუ რამდენათ სასურველია მოძრავი უნივერსიტეტის მოწყობა იმ გეგმით, რა გეგმაც შეიმუშავა ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილებამ და რა დახმარების აღმოჩენა უშუღლიათ ადგილობრივ თვითმართველობებს.

✳ ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე ბაქტერიოლოგოგიური განყოფილების გამგემ ექ. ელიავამ გააკეთა მოხსენება, რის შემდეგაც დაადგინეს, აპარატების, რეაქტივების და დიფტერიული შრატის შესაძენათ გადაღებული იქნეს 30.000 მან. რუსული ფულით. სხვა კითხვები, რომელიც მოხსენებიდან გამომდინარეობდა დარჩენილ იქნა განუხილველად.

✳ მედიკო-სანიტარულ განყოფილების მოხსენების თანახმად ქალაქები უნდა განთავისუფლდნენ იმ ხარჯებიდან, რომელსაც ისინი ეწვევიან ქალაქის ექიმების, ფერმლების, ბებია ქალების შესანახავად. ეს ხარჯი უნდა იკისროს სახელმწიფო ხაზინამ. სხდომა დათანხმდა მოხსენებაზე.

## მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის წესდების პროექტი.

1. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილება აწუბს რესპუბლიკის ყველა ქალაქებისათვის მოძრავ სახალხო უნივერსიტეტს.

2. მოძრავი უნივერსიტეტის კურსში შედის შემდეგი საგნები:

ა) ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია, გ) საქართველოს გეოგრაფია, დ) პოლიტიკური ეკონომია, ე) ბუნების მეტყველება, ვ) კანონ-

მდებლობა, ზ) საერთო ისტორია, თ) საერთო გეოგრაფია, ი) სოციალოგია და კ) სოციალიზმის ისტორია.

3. მოძრავ უნივერსიტეტს ყავს ათი მუდმივი ლექტორი.

4. ლექციების კითხვა ხდება შემდეგ ნაირათ: პირველ კვირას ერთ ქალაქში კითხულობს ლექციებს ორი ლექტორი; შემდეგ კვირას ეს ორი ლექტორი გადადის მეორე ქალაქში და პირველ ქალაქში მათ ადგილს იკებს მეორე წყვილი ლექტორებისა. მესამე კვირას პირველი წყვილი მესამე ქალაქშია, მეორე წყვილი მეორე ქალაქში და მესამე წყვილი პირველ ქალაქში. მეოთხე კვირას პირველი წყვილი ისვენებს და ასე ამ გვარათ ლექტორების ყოველი წყვილი ისვენებს სამი კვირის მუშაობის შემდეგ ერთ კვირას. თვითეულ ქალაქში ხუთი წყვილი ლექტორი წაიკითხავს ამ ანგარიშით 60 ლექციას სხვა და სხვა საგნებიდან. საქართველოს რესპუბლიკაში სულ ითვლება ამ ჟამათ 22—23 ქალაქი, მაშ ყველა ქალაქებში წაიკითხება 1320 ლექცია. ამ ანგარიშით თვითეულმა ლექტორმა უნდა წაიკითხოს 132 ლექცია. თვითეული საგნის კურსი იქნება დასრულებული ცოდნა ან მთელი საგნისა და ან რომელიმე მისი ნაწილისა.

5. ლექციები იკითხება რესპუბლიკის შემდეგ ქალაქებში: გორი, ხაშური, სურამი, ახალციხე, ახალქალაქი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი, ხონი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ფოთი, სოხუმი, ვაგრი, ოჩამჩირე და გუდაუთი—სულ 22 ქალაქში.

6. ყველა 22 ქალაქში თითო ლექტორი წაიკითხავს 132 ლექციას 7 თვის განმავლობაში, რადგან სამი კვირის მუშაობის შემდეგ ლექტორი ერთ კვირას ისვენებს.

7. ლექციების კითხვას მოძრავი უნივერსიტეტი იწყებს პირველ აპრილიდან და განაგრძობს პირველ ივლისამდე. შემდეგ ლექციების კითხვა იწყება პირველ ენენისთვეს და გრძელდება პირველ იანვრამდე. პირველი იანვრიდან პირველ აპრილამდე ლექტორები ამზადებენ მასალას შემდეგი კურსისათვის, რომელიც ისევ პირველ აპრილს დაიწყება და ასე ამ გვარათ გაგრძელდება უნივერსიტეტის მოღვაწეობა.

8. თვითეულ ლექტორს ენიშნება ჯამაგირი წლიურათ 12,000 მანეთი.

9. გარდა ჯამაგირისა ლექტორს ეძლევა მოგზაურობის დროს დღიური ასი მანათი და რკინის გზის უფასო ბილეთი.

✱ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ამ წლის პირველი აპრილიდან დაიწყოს მოქმედება მოძრავმა სახალხო უნივერსიტეტმა. ეს უნივერსიტეტი ჯერ-ჯერობით იმოქმედებს მხოლოდ რესპუბლიკის ქალაქებში და შემდეგ გაათავარიოვებს თავის მოქმედებას მთელ საეროებო ფარგლებშიაც. მოძრავი უნივერსიტეტის პროგრამა ჯერ-ჯერობით შეიცავს მხოლოდ საერთო საგანმანათლებლო საგნებს, როგორც არის: საქართველოს ისტორია, მსოფლიო ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, საერთო გეოგრაფია, ბუნების

მეტყველება, პოლიტიკური ეკონომია, ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია, სოციოლოგია და სოციალიზმის ისტორია. ამ საგნებს გარდა მოძრავ უნივერსიტეტს აზრათ აქვს მოაწყოს პარალელური კურსები სპეციალური საგნებიდან, როგორც არის აგრონომია, კოოპერაცია, მეფუტკრეობა, ხილის ხმობა და კონსერვების კეთება, თუ ამ საქმეში შესაფერ დახმარებას აღმოუჩენს მას საერობო თვითმართველობები. ლექციების კითხვა ნავარაუდევია უნივერსიტეტისაგან შვიდი თვის განმავლობაში. თითო ქალაქს შეხვდება ამ დროს განმავლობაში სამოცი ლექცია, ესე იგი, თითო საგნიდან ექვსი ლექცია, რომელიც იქნება დასრულებული ცოდნა ან მთელი საგნისა და ან მისი რომელიმე ნაწილის ანუ განყოფილებისა. მოძრავი უნივერსიტეტის მოქმედების დაწყებამდე კავშირის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ს. რობაქიძე და თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ვლ. ბაქრაძე ჩამოივლიან ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქს და ეცდებიან ადგილობრივ მოამზადონ ნიადაგი მოძრავი უნივერსიტეტის ნაყოფიერი მოქმედებისათვის. აღნიშნულ უნივერსიტეტს ეყოლება მუდმივპროფესიონალური ლექტორები, რომლებიც განახორციელებენ დამტკიცებულ გეგმას უნივერსიტეტის მოქმედებისას. ამ მუდმივი ლექტორების ჯილდოთ და მათი სამოგზაუროთ სახალხო განათლების განყოფილებას ნავარაუდევია აქვს მთელი წლის განმავლობაში სამასი ათასი მანეთის დახარჯვა. ამ თანხიდან ერთს შესამედს, განყოფილების აზრით, იკისრებს ქალაქთა კავშირი და ადგილობრივი ქალაქების თვითმართველობანი, ხოლო ორი შესამედი ხარჯისა უნდა მოეთხოვოს მთავრობას. დაწვრილებითი ცნობები შესახებ ამ უნივერსიტეტისა, მისი პროგრამა და ლექციების ცხრილი ქალაქებისათვის გამოქვეყნებული იქნება უნივერსიტეტის მოქმედების დაწყებამდე.

**გაგზავნილი პირი ქალაქის თვითმართველობებთან მოლაპარაკებით გამოარკვევს შემდეგ საკითხებს.**

1. რამდენათ სასურველათ მიაჩნიათ ადგილობრივ თვითმართველობას მოძრავი უნივერსიტეტის მოწყობა იმ სახით, რა სახითაც ამას ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილება აპირობს.

2. შეეფერება თუ არა ჩვენ გეგმაში აღნიშნული საგნები ადგილობრივ მოთხოვნილებას. რა ცვლილება იქნება საჭირო საგნებში.

3. მიიღებს თუ არა ადგილობრივი თვითმართველობა თავის თავზე მოძრავი უნივერსიტეტისათვის აუდიტორიისთვის საჭირო ბინის შოვნას, მოსულ ლექტორთათვის ბინის დამზადებას, დანიშნული დროისთვის მსმენელების ჩაწერას და სხვა და სხვა გვარ ტექნიკურ დახმარებას.

4. რადგანაც ქალაქთა კავშირს თავის თავზე მიღებული ხარჯების გაწევა მოძრავი უნივერსიტეტისათვის შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობების შემწეობით, საჭიროა ვიცოდეთ, ამ ხარჯებიდან რამდენს მიიღებს თავის თავზე ადგილობრივი თვითმართველობა.

5. რა დროს აჯობებს ადგილობრივი პრობების მიხედვით ლექციების კითხვა.

6. ეყოლება თუ არა საკმაო რიცხვი მსმენელებისა მოძრავ უნივერსიტეტს.

7. შეიძლება თუ არა ადგილობრივ იშვოვს უნივერსიტეტმა ამა თუ იმ საგნისათვის ლექტორი და, თუ შეიძლება რა და რა საგნებისთვის.

იგივე პირმა საერობო თვითმართველობის გამგეობაში უნდა გამოთქვიოს:

1. სასურველია თუ არა მოძრავი უნივერსიტეტი ავრცელებდეს თავის მოქმედებას ქალაქებს გარეშეც, დიდ სოფლებში.

2. თუ ეს საჭიროა, რა დახმარებას აღმოუჩენს მოძრავ უნივერსიტეტს საერობო თვითმართველობა თავის მოქმედების გასაფართოებლათ.

3. რამდენათ დააკმაყოფილებს სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებას მოძრავი უნივერსიტეტის პროგრამაში აღნიშნული საგნები.

4. საჭიროა თუ არა აღნიშნული პროგრამის გვერდით არსებობდეს მეორე პროგრამა სპეციალურ საგნებიდან და განსაკუთრებული პირები ამ პროგრამის განსახორციელებლათ.

5. შეიძლება თუ არა ადგილობრივ სპეციალისტთა დახმარებით მოეწყოს მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი სპეციალური კურსებით, როგორც არის აგრონომია, კოოპერაცია და სხვა.

6. საერობო თვითმართველობების აზრი შესახებ მუშაობის გაერთიანებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებისათვის სახალხო განათლების საქმეში.

7. უნდა აღინიშნოს საერობო ფარგლებში ისეთი პუნქტები, სადაც შესაძლებელი და საჭიროა მოძრავი უნივერსიტეტის მოქმედება.

### მრობათა თვითმართველობებში.

✱ **ცენტრალური საერობო ორგანიზაცია.** შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება პროექტი ცენტრალური საერობო ორგანოს მოწყობისა. ამ პროექტის შემადგენელი თანდათან რწმუნდებიან, რომ ცენტრალური საერობო ორგანოს მოწყობა საჭიროა გამგეობის პრინციპით და არა ერობათა კავშირის პრინციპით. საქმე იმაშია, რომ ერობათა კავშირი იძლევა წინადადებას, რომ კავშირში შესვლა ამა თუ იმ ერობას შეუძლია თავის სურვილით და არა მოვალეობით. ცენტრალური საერობო ორგანოს მოწყობა აუცილებელია. ქონება და ფუნქციები იმ საგუბერნიო დაწესებულებებისა, რომელთა ლიკვიდაცია მოხდა, უნდა იქნეს გადაცემულ რომელიმე ორგანოზე, და ამ ორგანოთ შეიძლება იქნეს ცენტრალური საერობო ორგანიზაცია.

✱ **ეროვნების კრება.** ზოგიერთი ერობები ემზადებიან ერობის კრების მეორე სესიისათვის. ერობათა სესიების ყრილობა მოეწყობა მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევის საშუალებით.

✱ **თელავის სამაზრო ერობის** გამგეობა შუამდგომლობს სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე, რათა ფონდში გადასული ყველა ვენახები დასამუშავებლად გადაეცეს ერობას.

✱ **ატენის ტყის სახერხი ქარხანა.** მიწად მოქმედების სამინისტრომ გორის სამაზრო ერობას გადასცა ატენის ტყის სახერხი ქარხანა.

✱ **შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობას,** რომ ის გზები, რომლებიც მდებარეობენ იმ მაზრებში, სადაც ერობა შემოღებულია, უნდა იქნეს დროებით დატოვებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ უწყებაში და შემდეგ უნდა გადაეცეს ერობის ცენტრალურ ორგანოს. ვინიცობაა გამოიცა კანონი ან გზების ხაზინაზე გადაცემის შესახებ, როცა გზებს რაიმე სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლევა, მაშინ ისინი უნდა გადაეცეს გზათა სამინისტროს. აგრეთვე ყველა ის საერობო გზები, რომლებიც მდებარეობენ ერთ რომელიმე მაზრაში, განურჩევლად იმისა, აქვთ თუ არა გზებს სტრატეგიული მნიშვნელობა, ან მხოლოდ ადგილობრივი. ყველა საგზაო ხელოვნური შენობები უნდა გადაეცეს ერობას.

✱ **შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს გუბერნიის კომისარს** მოახდინოს განკარგულება, რათა დაუყონებლივ გადაეცეს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას: ქუთაის-ხონის, სამტრედია-ხონის, ქუთაის-გელათის და ქუთაის-წყალტუბოს გზები.

✱ **სამიწად-მოქმედო სამინისტრო ატყობინებს ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობას,** რომ მოკლე ხანში სამინისტრო მიიღებს გერმანიიდან სხვა და სხვა სისტემის სამეურნეო იარაღებს.

✱ **ქუთაისის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა დანიშნულია 5 მარტს.**

✱ **გუთნების შექმნა.** სამიწად-მოქმედო სამინისტრო გერმანიაში 1.100 ცალი გუთანი შეიძინა. გუთნებს საერობო გამგეობათა შორის გაანაწილებენ.

✱ **შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიცე—დირექტორის გ. ნანეიშვილის** ხელმძღვანელობით დგება სახელმძღვანელო კრებული ერობათა ნორმალურ მსვლელობის ორგანიზაციისათვის.

✱ **საერობო განყოფილება, შინაგან საქმეთა სამინისტროში, იმუშავებს** გაუქმებულ საგუბერნიო დაწესებულებების საქმეების განაწილებას ერობათა და ცენტრალურ დაწესებულებათა შორის.

✱ **აბანოების ვაცემა.** ქუთაისის მაზრაში არსებული აბანოები მიწათ მოქმედების სამინისტრომ გადასცა ქუთაისის ერობას, რომელიც თვითონ აამუშავებს წყალტუბოს აბანოს. დანარჩენ აბანოებს ქუთაისის ერობის საადგილ-მამულო განყოფილება ვაცემს იჯარით.

✱ **ლეჩხუმის ერობისა და რაჭის ერობის** თავმჯდომარეებმა ამხ. მი-თაიშვილმა, და ლობჯიანიძემ თფილისიდან წაიღეს ზემო აღნიშნულ მაზ-რებისთვის დიდძალი საქონელი—მარილი, ნავთი, საცვლები და სხვა.

✱ **მიწის მიმღები კომისია.** რადგან მიწების მიმღები კომისიები ზა-მთარში არ მუშაობენ, ხოლო ბალდათის რაიონმა ბევრი ადგილი ჩამოუ-რთმეველი დარჩა, ქუთაისის ერობის საადგილ-მამულო განყოფილებამ გაგ-ზავნა ბალდათში დრ. ჩამომრთმევი კომისია.

✱ **მიწების დანაწილება,** 10 თებერვალს შესდგა შეერთებული სხდო-მა იანეთის, ჯიხაიშის და ბაშის საზ. საადგილ-მემულო კომისიების გრ. ნუტუბიძის თავმჯდომარეობით. კრებაზე ერობის საადგილ-მამულო განყო-ფილებამ გაანაწილა ჩამორთმეული მიწები ზემო აღნიშნულ სოფლებს შუა. ამავე მიზნით 11 თებერვალს მოწვეული იყო კრება ყველა იმ სო-ფლების წარმომადგენლების, რომლებიც მუშაობენ აჯამეთელ ანანოვის ყო-ფილ ადგილებში.

✱ **სენაკის სამაზრო ერობაში.** საქონლის ჭირი ძლიერ გავრცელე-ბულია მაზრაში. გამგეობამ ქუთაისის სამაზრო ერობის შრატის დამამზა-დებელ სადგურში შრატის გამოსახდელათ გაგზავნა ოცამდის ხარი. მიღე-ბული აქვს ზომები, კიდევ გაიგზავნოს სოფლებიდან ხარები. მაზრის თავის-განკარგულებაში ჰყავს ერთი ბეითალი ექიმი ორი ფერშლით. 8 თებერვალს საექიმო განყოფილებამ ჩაიბარა სენაკის სამაზრო საბეითალო განყოფილება და ამის შემდეგ მას საშუალება ეძლევა უახლოესი ხელმძღვანელობა გაუ-წიოს ამ დაწესებულებას.

იანვრიდან ჯერ ქალაქებში, შემდეგ კი სოფლებში გავრცელდა პარ-ტახტიანი ტიფის ეპიდემია, რომელმაც ამჟამად ფართე ხასიათი მიიღო. გამგეობა სენის წინააღმდეგ ლებულობს სათანადო ზომებს: აგზავნის ექი-მებს და ფერშლებს იმ ადგილებში, სადაც სენი თავს იჩენს საჭირო მედი-კამენტებით. აქვს თავის განკარგულებაში ერთი სადებიზფექციო აპპარატი „გელიოსი“.

გამგეობამ მცხოვრებთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ ჯერ-ჯერობით მოიწვია: 6 ექიმი და 10 ფერშალი, გახსნა ერთი 20 საწოლია-ნი საავათმყოფო ქ. სენაკში. ამ დღეებში გაიხსენება ბანძაში 12 საწოლი-ანი, ნოქალაქევი 8 საწოლიანი საავათმყოფო, საჭილაო, ძველ-სენაკსა და სალხინოთვის 6 საწოლიან სამკურნალო ქსენონების მოსაწყობათ საჭირო მასალებიც მზათ აქვს. ზემო აღნიშნულს ემატება კიდევ წინეთ არსებული აბაზასა და ნაოლაღევი ქსენონები.

საერობო გამგეობა უკვე შეუდგა მაზრის ადმინისტრაციის და მილი-ციის მიღება-ჩაბარებას.

✱ **სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.** სთხოვს გუბერნიის კომი-სარს, რომ საჩქაროთ გამოგზავნოს თავის რწმუნებული, მაზრაში არსებულ გზების სენაკის სამაზრო ერობისათვის ჩასაბარებლათ.

✱ ზუგდიდის ერობის კრებამ დაარღვია 159 მუხლი, რითაც თავმჯდომარეს ეძლევა უფლება კანცელიარიის მოსამსახურეების მოწვევისა; ამის გამო შინაგან საქმის სამინისტრომ წინადადება მისცა ქუთაისის კომისარს ზემოაღნიშნული ერობის დადგენილება განასაჩივროს სასამართლოს წინაშე.

✱ **ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.** 21 თებერვალს დღის 12 საათზე თბილ. მაზრის ერობის სადგომში გაიხსნა საქართველოს ერობათა წარმომადგენლების პირველი ყრილობა.

საორგანიზაციო ბიუროს სახელით კრება გახსნა დ. ონიაშვილმა, რომელიც მიესალმა ერობათა პირველ საქმიან ყრილობას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. ონიაშვილი, მის ამხანაგებათ ვ. ცაბაძე და მ. კლამიაშვილი. მდივნებათ ლეო შენგელაია და ლობჯანიძე.

ყრილობაზე შემდეგი ერობათა წარმომადგენლები დაესწრენ:

სიღნაღის—ალ. მჭედლიშვილი და კლიაშიაშვილი; გორის—ახალაძე, ოზურგეთის—შერეკიანი და კვირკელია, ზუგდიდის—შენგელაია ლეო, ქუთაისის—სოლორიშვილი, თბილისის—ონიაშვილი და სტურუა, ლეჩხუმის—ალ. მითაიშვილი, რაჭის—დ. ლობჯანიძე, თელავის—ანდრონიკაშვილი, შორაპანის—პ. გოგიაშვილი, —სენაკის სალაყაია.

ყრილობაზე წაკითხულ იქნა მრავალი მოხაენებანი; ზოგი მათგანი დაიბეჭდება ჩვენ ჟურნალში.

✱ **სენაკის ერობის გამგეობამ** დაადგინა მოაწყოს საკუთარი სამაგიდო და სასლესრო სახელოსნოები, რომელნიც შეასრულებენ ერობის მოთხოვნილებებს. ამ მიზნისათვისვე, ფიქრობენ, აიღონ იჯარით რომელიმე სახერხი ქარხანა.

ერობა აწყობს აგრეთვე პატარა ქარხნებს, მატყლის და აბრეშუმის დასამუშავებლათ.

1919 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს, სენაკის ერობის გამგეობას განზრახული აქვს შემოიღოს საფუთო გადასახადი.

✱ **რაჭის სამაზრო ერობის კრება.** ონში მოხდა, რაჭის მაზრის პირველი სამაზრო ერობის კრება. ერობის გამგეობაში ამორჩეულ იქნენ: ლობჯანიძე, თობაჯიშვილი, ბიჭაშვილი და ჯაფარიძე.

✱ **რაჭის ერობა.** მიღებულ ცნობით, რაჭის სამაზრო ერობის კრებაში, არჩეულია 20 სოციალ-დემოკრატი და 3 სოციალისტ-ფედერალისტი.

# Высшіе органы Земскаго управленія.

(Окончаніе).

## III.

Отъ общей характеристики центральныхъ органовъ мѣстнаго управленія мы здѣсь переходимъ къ отдѣльнымъ министерствамъ, соприкасающимся съ ними; въ главныхъ государствахъ Европы и Америки.

Въ Англіи министерство внутреннихъ дѣлъ имѣетъ надзоръ за всѣми полицейскими силами и выдаетъ имъ пособія. Для всѣхъ обязательныхъ постановленій по полицейской части, издаваемыхъ мѣстными органами, необходимо одобреніе этого министерства. Послѣднему принадлежитъ также контроль надъ мѣстными санитарными органами по примѣненію фабричныхъ законовъ, правилъ о погребеніи и пр. Въ Англіи кромѣ того, существуетъ особое министерство мѣстнаго управленія. Оно наблюдаетъ за финансовыми операціями различныхъ мѣстныхъ учреждений, за измѣненіемъ территоріальныхъ границъ мѣстныхъ округовъ, составомъ мѣстныхъ органовъ и производствомъ мѣстныхъ выборовъ. Этотъ же органъ имѣетъ нѣкоторое отношеніе къ санитарной части, собираетъ и публикуетъ отчетность разныхъ отраслей мѣстнаго управленія и пр.

Министерство промышленности въ Англіи санкціонируетъ предположенія мѣстнаго самоуправленія по промышленнымъ предприятиямъ. Министерство народного просвѣщенія завѣдуетъ всѣмъ образованіемъ въ начальныхъ школахъ, въ научныхъ и художественн. учрежденіяхъ, вечернихъ школахъ, получающихъ пособія отъ государства; инспектируетъ учебныя заведенія для учащаго персонала, помогаетъ совѣтами по среднему и высшему образованію и пр. Министерство земледѣлія имѣетъ надзоръ за борьбой съ болѣзнью животныхъ и за регулированіемъ общественныхъ рынковъ.

Всѣ эти министерства уполномочены парламентомъ издавать правила для детального примѣненія и выполненія законодательныхъ постановленій. Это больше всего касается системы призрѣнія бѣдныхъ, широко поставленной въ Англіи.

Во Франціи дѣлами мѣстнаго самоуправленія вѣдуетъ глав-



нымъ образомъ министерство внутреннихъ дѣлъ, а именно полицией. общественнымъ призрѣнiемъ, народнымъ здравiемъ, тюрьмами и пр. Къ мѣстному самоуправленiю имѣютъ отношенiе также министерства публичныхъ работъ, торговли и промышленности, народнаго образованiя и земледѣлiя.

Въ Пруссiи дѣлами мѣстнаго самоуправленiя занимаются: Министерство внутреннихъ дѣлъ (призрѣнiе бѣдныхъ, полиция, статистика), министерство культовъ, народнаго образованiя и медицинскихъ дѣлъ, министерство торговли и промышленности и министерство земледѣлiя, государственнаго имущества и лѣсовъ.

